

K891

საქართველოს თეატრალური საზოგადოება

0306 9 0000000000000

# ხალხის გემოფერი გ ე ნ ი ა

ღია უნი  
კახუნი მრავალუამიერი  
უნმუდი

„ხალხოვანა“  
თბილისი 1949

ილია ჭავჭავაძის ილი

ქართველი შემოქმედი  
გ ე ნ ი ა

ლოცვა, კასკო მრავალაქისა, ურმილი

გამოხვევლება „ხელოვნება“

თბილისი — 1949

## ლ ე პ უ რ ი

— თქვენ რაც გინდათ, თქვით და... ჩვენი  
ცეკვა ნაირნაირობით მდიდარი არ არის!..  
როგორ შეედრება, მაგალითად, პოლონელე-  
ბისას? რა მრავალფეროვანებაა და რა სილა-  
მაზე!.. აიღეთ პოლონეზი, კრაკოვიაკი და,  
ბოლოს, მაზურქა, ეს მშვენებათა მშვენება  
ცეკვისა!—ამბობდა ერთი მოსაუბრეთაგანი  
სრული გულწრფელობით და დაჯერებით.

საუბარი, საერთოდ, ხელოვნებაზე იყო  
და, ბოლოს, როკვაზე გადავიდა. მოსაუბრე-  
ნი ცოტანი იყვნენ, ასე ხუთი-ექვსი კაცი,  
ზოგი ახალგაზრდა, ზოგიც ხანში შესული:

— რას ამბობ, კაცო! ნაირნაირობაზე თუ  
მიღვა საქმე, იმდენი საცეკვაო, რაც ჩვენა  
გვაქვს, არა მგონია, ბევრ სხვა ერს გააჩნ-

დეს... ვერა ხედავ, ახალმა ცხოვრებამ. ჩა-  
ლოვნებას რომ ასეთი მნიშვნელოვანი ადგი-  
ლი მიაკუთვნა თავის წიაღში, რამდენი ჯა-  
მირი გატეხა ძველი კულტურისა და რა  
მარგალიტები აღმოაჩინა ხალხის შემოქმე-  
დებისა, რასაც ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენ-  
დით?!—უპასუხა კილოშეკიდებით მეორებმ.

კილოშეკიდებით-მეთქი იმიტომ, რომ საუ-  
ბარი სადილშემდეგ იყო და, როგორც მო-  
გეხსენებათ, ქართული საუბარი „სადილშემ-  
დეგ“, ცოტა არ იყოს, მაღალ ფარდებში  
მიმდინარეობს ხოლმე.

— ლვთის გულისთვის, ბრტყელ-ბრტყელ  
სიტყვებს თავი დაანებე და შენ ფაქტები  
დამისახელე...

— ბაშუსტა! ინებე! დავიწყოთ ფერხულით  
და მცვაცოლოთ სამაია, შავლეგო, სვანური  
შამარირა, მერე შესანიშნავი ხორუმი, დავ-  
ლური და...

— რაღა თქმა უნდა, ლეკური!—გააწყვე-  
ტინა სიტყვა პირველმა დამცინავი ლიტი-  
ლით.

— ჰო და, ლექური! განა რა ხელწამო-  
საკრავია? — უპასუხა მეორემ.

— ჯერ ერთი, არ ვიცით დანამდვილებით,  
ეგ შენი ლექური ქართული ეროვნული სა-  
ცეკვაოა, თუ ნასესხები? თვით სახელწოდე-  
ბა გვიჩვენებს, ყოველ შემთხვევაში, მის არა-  
თავანკარ ქართულობას და, მეორეც, მას  
ყველა მთიელი ხალხი თავისად სთვლის.

— ერიპაა, ეგლა გვაკლდა! შენ ისეთებში  
შეტოპე, რომ აქ ბაასიც შეუძლებელია... —  
წარმოთქვა მეორემ წყენით.

— კაცო, ამისთანა კამათში გაწიწმატება  
რა შუაშია? ეს სიმართლემდე ხომ ვერ მიგ-  
უიყვანს? მე აზრი გამოვთქვი, შენც აზრით  
შივასუხე.

— რა უნდა გიპასუხო, ძმაო? დამდგომი-  
ხარ და მეუბნები, შენ — შენ არა ხარო! აბა, რა  
ეშმაკი საბუთი მოგიტანო, რომ მე — მე ვარ?  
ათადან-ბაბადან ლექური ქართულ ცეკვად  
ითვლება... ახლა შენ ამაზედაც ეჭვი შემო-  
გაქვს... ბატონო პროფესორო! — მიუბრუნდა  
იგი ერთ ჭალარაშერთულ კაცს, რომელიც  
ჩაფიქრებული ოთახში ბოლთასა სცემდა და

თითქო ბაასს ყურს არ უგდებდა.—თქვენ მანც უთხარით რამე ამ ურწმუნო თომას...

—რა უნდა ვუთხრა?—თქვა სიცილით პროფესორად წოდებულმა.—მე სამართლის პროფესორი ვარ და არა ცეკვისა.

— მართალია, მაგრამ დღევანდელმა თქვენმა მსჯელობამ საერთოდ ხელოვნებაზე აშკარად დაგვანახვა, რომ ქორეოგრაფიაზედაც ბევრ რამ საგულისხმოს გვიტყვით, კერძოდ ქართულ ცეკვაზე და, განსაკუთრებით, ლეკურზე.

— ბაშხადუნ, ბიჭო! — წამოიძახა ერთმა ხანში შესულთაგანმა.—მოსწრებული მისამართია! ჩემი ახლო ნათესავი ნუ მიწყენს, თუ მის წარსულის ხვაშიადს გამოვამჟღავნებ. — აქ მან პროფესორს ოინბაზურად თვალი ჩაუკრა. — იცით თქვენ, რომ, — განაგრძო მან, — დღევანდელი სწავლული და პროფესორი ყრმობისას შესანიშნავი მოლეკურე იყო! იმდენად სახელგანთქმული, ისიც კახეთში, რომ მის ბალლობას არ ერიდებოდნენ და დიდ საზეიმო საღილებზე თუ ვახშმებზე უცილობლად ამას იწვევდნენ · ხოლმე, რო-

გორც ფენომენს... მეტადრე, თუ ვინმე საპა-  
ტიო სტუმარი იქნებოდა...

—ვერიდებოდი ლოლოსა და... დამხვდა  
სოფლის ბოლოსაო,—სწორედ შენზეა ნათ-  
ქვამი,—მიმართა მამხილებელს პროფესორმა  
დარცხვენით და თანაც ღიმილით.—ეგ ცო-  
დო რომელ კახელს არ უმძიმებს სინდისს?  
მაგრამ შენს თავს რაღად ივიწყებ?... არც  
შენ იყავი ლეკურზე ტუჩაბზეკით! რა ვიცი,  
შენი ფეხების ტყაპატყუპისაგან და ტლინ-  
კებისაგან ყურები მქონდა წართმეული, როცა  
ერთად ვიყავით ხოლმე.

—საქმეც ეგ არის... ტყაპატყუპისა და  
ტლინკების მეტი რომ არა გამოვიდა რა,  
აფილე და... თავი დავუკარ ლეკურს. მაგრამ  
შენ? შენ რა დაგემართა? ის იყო, გიმნაზია  
გაათავე და ლეკურზედაც ხელი აიღე.. იცი,  
ჩვენი გოგოები როგორ ოხუნჯობდნენ შენ-  
ზე? გიუიოს ფილოსოფიის კითხვა დაიწყო  
და თავი ბრძნად წარმოიდგინაო. სად ბრძე-  
ნი და სად ლეკურიო?! აი, სწორედ შენზე  
ითქმის, „მით რაცა მინდა არა მაქვს, რაცა  
მაქვს—არ მომინდებისო“.

—სცდები! ეგ კი არა, რუსთველის სხვა  
აფორიზმშა ამაღებინა ხელი ლეკურზე: „თუ  
ყვავი ვარდსა იშოვნის — თავი ბულბული  
ჰქონია“-ო.

—მერე, როგორ? ყველა ხომ დარწმუნე-  
ბული იყო, რომ ლეკურში შენ ბულბული  
იყავ და ვარდიც ლირსეულად გეპყრა!

—მეც აგრე მეგონა, ვიდრე არ დავრწმუნ-  
დი, რომ ვცდებოდი.

პროფესორის სიტყვებმა საერთო ინტერე-  
სი აღძრა. ყველანი მიეტივნენ და ერთხმად  
სთხოვდნენ — გვიამბეთ, გვიამბეთ, რამ აგა-  
ლებინათ ლეკურზე ხელიო.

\* \* \*

პროფესორმა საამურად გაიღიმა. ლიმილი  
ძალიან ამშვენებდა მის ჭკვიანურ სახეს და,  
ბაგეთაგან გამონაკრთობი, თვალების მეტ-  
ყველებას ეკილოკავებოდა, აცხოველებდა.

—რაკი ჩემი ნათესავის ენაჭარტალობით  
გამულავნებული ვარ და ოქვენც არ იშლით,  
გიამბობთ, — დაიწყო მან. — მაგრამ ჯერ რამ-

დენიმე სიტყვა ლეკურის ქართულობაზე. წუ გაგიკვირდებათ, რომ ეს ზოგიერთისათვის ჯერ კიდევ გადაუჭრელი „პრობლემაა“. ჩემი ახალგაზრდა მეგობარი ფორმალურად შეიძლება მართალიც იცოს; სახელწოდება „ლეკური“ გვიჩვენებს, თითქმ ეს ცეკვა უცხო სათავიდან მომდინარეობდეს. თანაც უველა მთიელი ტომი მას თავისად სთვლის. მაგრამ დამისახელეთ ისეთი საცეკვაო, რომლის გამოძახილსაც, ანარეკლსაც სხვადასხვა ერის ამა თუ იმ ცეკვაში არ გამოიცნობდეთ?

თქვენ ამბობთ,—მიუბრუნდა იგი პირველ შოსაუბრეს,—რა შეედრება პოლონებს, კრაკოვიაკს და მაზურკასაო? გეოანხმებით—მშვენიერებაა! მაგრამ პოლონების სრულ განსახიერებას ჩვენ ვხვდებით სვანურ შამარირაში. იგივე წყვილწყვილი ქალვაჟი ხელჩაკიდებული, იგივე კივკივით სრბოლა და ქვედატანის ოდნავი რხევა. ამ ორ საამურ პლასტიკურ საცეკვაოს განასხვავებს ერთმანეთისაგან მხოლოდ ესა თუ ის ნიუანსი, რაც თავისებურ წასიათს აძლევს პოლონებსაც და შამარირა-

საც. ვინ ვისგან ისესხა—სვანებმა პოლონელებისაგან, თუ პოლონელებმა სვანებისაგან? მე მგონია არც ერთმა, არც მეორემ. ორივე ხალხში თავისუფლად და ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნა ეს თანამსგავსი ცეკვა, სწორედ ისე, როგორც თავისუფლად და დამოუკიდებლად იბადება ესა თუ ის იდენტურ სიუჟეტიანი ლეგენდა, თქმულება სხვადასხვა ხალხში, რომელნიც დაშორებულნი არიან ერთმანეთზე დიდი მანძილით და რომელთაც ურთიერთობა არასდროს არა ჰქონიათ. კრაკოვიაკის ანასახი ცეკვა მე მინახავს სკანდინავიელ ხალხთა ერთ-ერთ ცეკვაში, რომლის სახელწოდება აღარ მახსოვს. ასევე უნდა ითქვას მაზურკაზედაც, ვინაიდან მას ძალიან ეკილოკავება. უნგრული „ჩარდაში“. ხოლო მაზურებმა—პოლონეთის ეზო-ერთმა ტომმა—ისეთი თავდამავიწყებელი სიხარული და აღტყინება შთაბერეს ამ საცეკვაოს, რომ მათ უპირატესობას ვერავინ შეედავება.

ეს რად გინდათ? ავილოთ უკრაინული თავბრუდამხვევი გოპაკი, ეს შესანიშნავი ვაჟ-

კაცური ცეკვა, რომლის ხილვაზე გული ისუ  
აგიფართხალდება, რომ მზადა ხარ მოცეკვა-  
ვეთა. შორის გადახტე და ცეკვაში შთაინ-  
თქა. ნუთუ ამის ჟესაბამ საცეკვაოს ვერ  
დამისახელებთ ჩვენში? ვერა? მაშ, მე გეტ-  
ყვით: ჩვენებური თბილისური ბალდადური,  
კინტოურს რომ ეძახიან. ბალდადურიო—  
არ გევონოთ ვითომ ბალდადიდან იყოს მო-  
ტანილი... არა. ბალდადური იმიტომ ჰქვიან,  
რომ თამაშობის ღროს ხელში ბალდადი  
უჭირავთ. მართალია, რიტმი გოპაკისა და  
ბალდადურისა სხვადასხვაა; სამაგიეროდ, სა-  
ერთო ხასიათი, ფეხის მრავალნაირი ფიგურა-  
ცხა, ბუქნა, ჩაკუნტვით ცალ ფეხზე ბჩრია-  
ლასავით ტრიალი და მრავალი სხვა წვრილ-  
მანი საკვირველად ამსგავსებს ერთმანეთს ამ  
ორ საცეკვაოს. აქ მყოფთა შორის ნამდვილი  
ყარაჩოხელებისაგან ნათამაშევი მე და ჩემს  
ნათესავს თუ გვენახვება. ოქვენ კი, დანარჩე-  
ნნი, ალბათ, სცენაზე ნახავდით მას, მხატვარ  
ლადო გუდიაშვილის მიერ ბალეტურად  
დადგმულს. მხატვარშა ამ დადგმაში ბევრი რამ-  
თავისებური დეტალი შეიტანა, უფრო კო-

შიკური ხასიათისა. ამასთანავე, თვით საცეკვაოში მეტი ქალური ელემენტი შეიტანა, ყარაჩოხელების ვაჟკაცური საწყისისა შიგ ცოტალა დარჩა. ბალდადური კი ნამდვილი ლოთიფოთური საცეკვაოა, ჭარბსისხლისანი და ძლიერად ემოციური, სხვადასხვა რთული ფიგურებით და მიჩამალაყებით სავსე.

ფერხულზე არას ვიტყვი. ყველამ ვიცით, რომ ისეთი ხალხი არ მოიპოვება, რომელ-საც ფერხულური საცეკვაო არა ჰქონდეს და თანაც მრავალსახიერიც, — ყველას, რასაკვირველია, თავისებური, ყველას თავისი ტემპერამენტისა და კულტურის შესაფერი. და თქვენ კარგად იცით, რაც არის ცეკვათა ამ იდენტობის საფუძველი. ცეკვა ხომ აზამიანის ცხოვრების მოვლენათა ანარეკლია: შროშისა, ბრძოლისა ერთმანეთთან და ბუნებასთან, კულტის სხვადასხვა რიტუალისა, ტრთიალებისა, მძულვარებისა და მრავალ სხვათა. აი, ეს მოვლენანი გაიგივეობს დალს ასვამენ სხვადასხვა ხალხის სხვადასხვა ცეკვას. რაღა თქმა უნდა, ერთმანეთისაგან სესხებაც არის და უხვადაც.

გადავიდეთ ახლა ლეკურზე. ქართველთა ლეკური და ლეკთა ლეკური თითქო ერთი და იგივეა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი თვალის გადავლებით გეჩვენებათ, რადგანაც გარეგნულად ბევრ რამ საერთოს ხედავთ.. იქაც და იქაც დავლა, ფეხის თამაში, ე. ი. ცეკვა, როგორც კახელები ვეძახით და როგორც სულხან-საბა ორბელიანიც ამბობს.

უნდა მოგახსენოთ, რომ საბას ლექსიკონმა ცეკვა ლეკური არ იცის. იგი ლეკურს ხმალს უწოდებს. სიტყვა „როკვაში“ მას ჩამოთვლილი აქვს: „სამა, ცეკვა და მისთანანი“. ხოლო სიტყვას „ცეპვა“ იგი ასე განმარტავს: „ფეხის თითებით როკვა“. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლეკური, როგორც ერთ-ერთი სახე როკვისა, საბას რატომღაც ცალკე არ დაუსახელებია და, ალბათ, სიტყვა „მისთანანში“ მოუქცევია. იმის ფიქრი, ვითომც საბამდე და საბას ღროს ლეკური არა ყოფილიყოს საჭართველოში, უსაფუძვლოდ მიმაჩნია, იმიტომ რომ ურთიერთობა ლე-

კუბთან და სხვა მთიელ ტომებთან საბამდეც  
ჰქონდათ ქართველებს, საბას დროსაც და  
შემდეგაც.

საუკუნეების მიღმეულში მიღის ჩვენი  
ლეკურის წარმოშობა, თუ ეს, შედარებით,  
ახალი დროის ამბავია, ამას ჩვენი საუბრი-  
სათვის მნიშვნელობა არა აქვს. საჭიროა  
მთოლოდ ალვნიშნოთ, რომ, შეიძლება, საბას  
„ცეკვა“ („ფეხის თითებით როკვა“) — სწო-  
რედ ლეკური იყოს. თუ ასეა, მაშინ გამო-  
დის, რომ „ცეკვა“ ზოგადი სახელწოდება  
კი არ არის საერთოდ საცეკვაობისა, რო-  
გორც ახლაა მიღებული, არამედ ერთ-ერთი  
სახე როკვისა. საბასაც ასე ესმის ეს ცნება,  
რადგანაც როკვის ცნებაში მას შეაქვს „სამა,  
ცეკვა და მისთანანი.“ კახელებს ფეხის გას-  
მის აღმნიშვნელ სიტყვად შემოულიათ „ცე-  
კო.“ აღბათ, რათა განესხვავებინათ „ცეკვი-  
საგან“, როდესაც იგი საცეკვაოების ზოგად  
ცნებად დამყარდა. ამ ცნებად კი ძველთა-  
გან „როკვაა“ და არა ცეკვა. იგი „დაბალე-  
ბაშიაც“ აკბედება.

საგულისხმოა, რა ასბევებს ქართველთა-  
ლეკურს ლეკტა ლეკურისაგან? თუ განსხვა-  
ვება დიდია და თანაც პრინციპული, მაშინ  
ქართული ლეკურის თავისთავადობა ეჭვმიუ-  
ტანელი იქნება. ამიტომ, რასაც ახლა მო-  
გახსენებთ, ეს პირადი ჩემი დაკვირვებაა,  
საკუთარი თვალით ნანახზე დამყარებული.

ლეკტა ტომებში საუკეთესო მოცულვავენი  
ანწუხელები არიან: ამას ხელს უწყობს მათი  
გარეგანი ბოხდენილობა. იშვიათია, ანწუხე-  
ლი წერწერა ტანისა და მხარმდგრანი არ  
იყოს. საქართველოში ჩამოსულებიც მინა-  
ხავს ისინი და მათ მთებშიაც ვყოფილვარ.   
იმდენად განთქმულია მათი ცუცუა, რომ სპე-  
ციალურ სახელწოდებას ატარებს: ანწუ-  
ხორს.

...ი. ოოვორია მათი ლეკური.

გამოვა ორი მოსხლეტილი ახალგაზრდა  
ჩერქეზულ ახალუბში, უეხხე შულა-მესტით  
ან ჩათებით<sup>1</sup>. დაუკლიან მცირედს და გა-

<sup>1</sup> ჩითები - შემცილად დაგრებილი, ფერადი და მა-  
გარი ბაჭრით მოქსოვილი ფეხსაცმულია, სქელძირუ-  
ბიანი, რასაცირველია უქუსოლ და წვრილწვერიანი.

ჩერდებიან. მერე ერთი შემოტრიალდება ვიწრო წრეში თავის გარშემო, ჩაივლებს მარცხენა ხელს ხანჯალში, რომ მოძრაობის დროს არ უშლიდეს, და გაუსვამს ფეხს.

ფეხის გასმა იშდენად რიტმულია, თანაც მთელი ფეხის გულით, გეგონებათ მიწას ფეხს არ აშორებსო. ამასთანავე, ზედატანის რხევა სულ არ ემჩნევა, თითქო იგი მხოლოდ მუხლებქვემოთ მოძრაობდეს. გააკეთებს პი-რუეტს ან ანტრშას, ე. ი. ფეხის თითებზე შედგება და შემოტრიალდება ან ზევით ახ-ტება და ანაზდეულად გაჩერდება; თანაც მოჯიბრეს შესძახებს: ახლა შენაო.

მეორე გააკეთებს ასევე ყველაფერს, რაც პირველმა გააკეთა და, თავის მხრით, პირუეტამდე წაუმატებს რაიმე ახალ ფიგურა-ციას; მაგალითად, ფეხის გასმის დროს ანაზდეულად მარცხენა ფეხის ტერფს მარჯვენაზე შემოიდებს და ისე ცალ ფეხზე გაქანდება. მერე მარცხენა ფეხით გაიმეორებს ასეთ ფანდს, გახტება და დასძახებს მეტო-ქეს: ახლა შენაო.

ო ჩემი

07

ასე და ამრიგად თვითეული მათგანი ყოველ გამოსვლაზე რაიმე ახალ ფიგურაციას უმატებს, ვიდრე მათი რეპერტუარი მთლად არ ამოიწურება. ამის შემდეგ, ორივენი ჩამოუვლიან საბოლოოდ, შედგებიან ფეხის თითებზე და გათავდა. არც ფართო დავლა, არც სახის რამ მეტყველება, არც სხვა რაიმე პლასტიკური მიხვრა-მოხვრა, არც ხელების ლამაზად გაშლა მათ არა სჩევევიათ. მთელი მათი ცეკვა—ფეხის გასმაა. ე. ი. ცეკვა და ნართაული ფანდები ფეხითვე. ცეკო რამდენიმენაირია: პირდაპირი, სარეცხული, ახტომით, რხეული. პირდაპირი—თავისთვალ გასაგებია. სარეცხული—გასმის დროს მოცეკვავე ფეხის წვერებს ერთმანეთს ატკუცებს და ქუსლებს გვერდზე შლის, დედაკაცები სარეცხს რომ რეცხავენ ბოლმე, იმ ყაიდაზე. შეხტომით ფეხის გასმა—ცეკოს დროს მთელი ტანით შეხტომაა, რასაკვირველია სრული რიტმულობით. რხეული—გასმის დროს ამა თუ იმ ფეხის სწრაფად მაღლა ატაცება და ჰაერში მოწყვეტით და რხევით შეთამაშება. და ყოველივე ეს ისეთი

სისხარტით და ლამაზად არის ხოლმე შეს-  
რულებული, რომ ადამიანს თვალსა სჭრის,  
ხოლო ზოგიერთი ფანდი აკვირვებს კიდეც,  
იმდენად რთულია ტექნიკურად. ერთი სიტ-  
ყვით, აქ უველაფერი ფეხის ტექნიკის სრულ-  
ყოფამდეა მიღწეული.

სხვა მთიელ ხალხთა ლეკური, სადაც დავ-  
ლაც არის, ხტუნაობაც, გახტომ-გამოხტო-  
მაც, ფეხის თითებზე წრის შემოვლაც, მუხ-  
ლებზე დაცემაც, ლაჯების გალართხვაც და  
მრავალი სხვა რამ,—ეს უფრო ტანგარჯი-  
შობაა, ფიზკულტურა, აკრობატობა, ვიდრე  
ლეკური, თუმცა ესეც ხშირად ძლიერ შთა-  
ბეჭდილებას იწვევს მაყურებელში.

\* \* \*

რა არის ქართული ლეკური?

განსაზღვრული იდეა, რომლის განსახორ-  
ციელებლადაც სათანადო ტექნიკაა გამოყენე-  
ბული. რამდენადაც ლეკთა ლეკურში ფეხის  
ტექნიკა თვითმიზანია, იმდენად ქართულ  
ლეკურში—იგი სარჩულია, დამხმარე საშუა-

ლება თვითმიზნის განსახორციელებლად. აქ ლეკური გააზრებულია. საგულისხმოა, რომ ქართველმა მამაკაცის სურვილის მოკამათედ მამაკაცი კი არ გამოიყვანა, არამედ—ქალი! ამით მან მთლად გადააბრუნა ამ საცეკვაოს მნიშვნელობა. მან შეუქმნა შინაარსი ლამაზ, მოხდენილ, მაგრამ უშინაარსო სულთასწრაფვას.

ჰო, და... რა არის ქართული ლეკურის დედაარსი?—ტრფიალება! ორი სქესის ლამუნი ურთიერთისადმი და ბრძოლა ამ ნიადაგზე. ეს არის ქვაკუთხედი ქართული ლეკურისა. სხვაგან, სადაც გინდათ, ამ სახის ლეკური არ არსებობს, და სწორედ ეს არის მისი თავისთავადობის ნიშანდობლივი საბუთი.

ლეკური მთლიანი პოემაა ტრფიალებისა. მას აქვს სათანადო დასაწყისი— „შორით ბნედა, შორით ალვა“; მას აქვს განვითარება— „კაცსა შიხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა“; მას აქვს დასასრული— „სიყვარული აგვამალლებს“. გახსოვდეთ, ლეკური ისე იწყება, ისე ვითარდება და ისე

მთავრდება, რომ ვაუი ქალს არც ერთხელ  
არ ეხება. მხოლოდ დამთავრების სურათი .  
გვიჩვენებს, რომ მათი ბედი გადაწყვეტილია,  
ისინი უნდა შეერთდნენ. და რამდენადაც წადი-  
ლთა საწყაული აღუვსებელია, იმდენად მწვა-  
ვეა და ცეცხლოვანი ის გრძნობები, ქალ-  
ვაუს რომ უკიდია. არც ერთ ევროპულ სა-  
ცეკვაოში, — მაზურქა გინდათ, პოლონეზი,  
ვალსი, ჩარდაში, თუ კრაკოვიაკი და სხვა,—  
ის კდემამოსილება და ამავე დროს აღვირ-  
ამოდებული განელებული უნება არ არის  
ცრთად შეთავსებული. ყველა ეს საცეკვაო  
იმით იწყება, რომ ქალ-ვაუნი უკვე ხელშაკი-  
დებულნი გამოდიან სათამაშოდ. მაშასადამე,  
წალილთა საწყაულში წალილთა დაოკების  
რამდენიმე წვეთი უკვე ჩაწერებულია. და  
ეს იმიტომ არის, რომ ის საცეკვაოები—სა-  
ცეკვაოებია, ლეკური კი—პოემაა ტრადია-  
ლებისა.

და რომ ეს ასეა, ამის საილუსტრაციოდ  
მე ვეცდები აგიშეროთ ჩემს სიცოცხლეში ერ-  
თადერთხელ ნახული ლეკური, რომელმაც  
შემიქმნა წარმოდგენა ლეკურის იდეალზე.  
20

როგორც იგი წარმოუშვია ქართველი ხალ-  
ხის მხატვრულ თცნებას და შემოქმედ გე-  
ნიას.

\* \* \*

კახეთი. თელავი: მიწურული ზაფხული.  
ნაწვიმი. ლამე. დიდი წვეულება ერთ დიდ  
ოჯახში. ასამდე ქალ-ვაჟი. განიერ და გრძელ  
აიგანზე კახური სუფრა. კახური ლვინო. კა-  
ხური მრავალუამიერი, სუფრული, ჩაკრულო  
და ვინ იცის კიდევ რაები: დიდ, თითქმის  
ოთხკუთხ დარბაზში—ცეკვა-თამაში. აწყური-  
დან საგანგებოდ ჩამოყვანილი მეზურნეები:  
მედოლევანკო თავისი დამქაშებით. საუკე-  
თესო მოცეკვავე ქალ-ვაჟი კახეთის თითქ-  
მის ყოველი კუთხიდან. მეც მათ შორის.  
ხოლო ახლად გამომცხვარი სტუდენტი ვარ.  
სულმა წამძლია, სერთუკი ჩავიცვი ამიტომ  
ლეკურზე უარს ვაშბობ. ცივილურ ტანისა-  
მოსში ლეკურის მოცეკვავეზე სასაცილო არა  
მიმაჩნდა რა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ.

ოფიციალური ნადიმი გათავებულია. ეს იგი, ყველა სათანადო საღლეგრძელო — პერსონალური თუ ჯგუფური — დალეულია. ვახშამს განაგრძობენ მხოლოდ სმისამართიონები. დარბაზში ცეკვაა გაჩაღებული. ევროპულს ლეკური სცვლის, ლეკურს — ევროპული.

ამ დროს გაისმის: — ძია ტიტიკ, ძია ტიტიკ დაგვეთანხმა! — და აივანზე გამოსული ცქრიალა ქალიშვილი სიხარულით ატყობინებს იქ მყოფთ, რომ დარბაზში არაჩვეულებრივი ამბავი ხდება. ყველანი წამოიშლებიან სუფრიდან, თამადაც კი, და დარბაზს მიაშურებენ.

ძია ტიტიკ განთქმული მოლეკურეა. ეს ყველამ იცის. ნახვით კი იშვიათად თუ ვისმე უნახავს მისი ცეკვა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. არც მე მინახავს, იმიტომ რომ კარგა ხანია ხელი აიღო ცეკვაზე. რატომ? ალბათ, თავისი ხნისათვის შეუფერებლად მიაჩნია „ხუნტრუცი“. ან, იქნება, „ოდეს ვარდი გაიაფდეს“ მრწამსით. ამრიგობაზე პატივი დაუდვია მოდლესასწაუ-

ლე მასპინძელი მანდილოსნის დიდი თხოვნისათვის.

დარბაზში სენსაციაა, თუმცა ჩვეულებრივი ხმაური არ ისმის. ყველას სახეზე მხიარული ინტერესი და ცნობისმოყვარეობაა აღმართდილი. ყველანი კედლებთან მიჭუჭყულან, რათა დარბაზში რაც შეიძლება მეტი ზალვათობა იყოს მოცეკვავეთათვის. ზოგი დგას, ზოგი წის.

შუადარბაზში დგას ძია ტიტიკო. მორცხვად იღიმება. ორმოცდახუთი წლისაზე მეტი არ უნდა იყოს. შუათანა ტანისა. წელწერწეტა და მხარბეჭიანი. ჭავჭვერულვაშა. საფეხქლებთან ხშირი ჭალარა. წვერში რამდენსამე ადგილას ვერცხლის ზოლები. ეს ძალიან უხდება. დარბაისლობისა და ენერგიის იერით მოსავს მის მიზიდველ და მეტყველ სახეს.

ქართული სადა, შავი მაუდის კაბა ყურთმაჯებიანი. ცისფერი ფარჩის გულამოჭრილი ახალუხი ყოშებიანი, ხრიკების აქეთ-იქით და გარშემო პუზმენტშემოვლებული. წითელი ყანაოზის გულისპირი, გვერდზე შესაკვრელი. წმინდა ლეკური შალის განიერი შარვალი,

წალების ყელში ტოტებჩატანებული. ტოტის  
ბოლო სამკუთხიან ნაკეცად, დიდი ყოშივით,  
წალის ყელზე გადაგდებული გარედან. ფეხზე  
ქართული, დაბალ და ვიწრო ქუსლიანი შავი  
უბუზმენტო წალები, ოდნავ მოკაუჭებული  
ჰვინტით. ფეხზე მჭიდროდ გაწყობილი წალა  
სანაქებოდ აჩენს თხელ მოგრძო ტერფს და  
ლაშათიანად ჩამოქნილ მაგარ კუნთებიან  
წვივს. სევადიანი ვერცხლის ვიწრო ქამარი  
ყაწიმით და ზომიერი ხანჯლით. ხანჯლის  
ტარი სპილოს ძვლისა ოქროს ზარნიშით.  
სავოთურებო ბალთა და ხანჯლის ბოლო ოქ-  
როთვე მოზარნიშებული ფოლადისა.

ერთი სიტყვით, დგას ვაჟაცი, საამური  
სანახავი. უცდის, ვიდრე დამკვრელი დუ-  
დუკს სალამურით შესცვლის და პრელუდი-  
ად საცეკვაო ჰანგის პირველ მუხლს ჩაარაკ-  
რაკებს.

\* \* \*

ლექური დავლურით იწყება. იგი ლექუ-  
რის შესავალია—ადაჯიო. ძველად უდავლუ-

როდ ლეკურს იშვიათად ცეკვავდნენ. თან-  
დათან გადავარდა. ახლა ცალკეულ ცეკვად  
იგულისხმება. ეს სწორე არ არის. კვლავ  
ვიტყვი, დავლური ლეკურის განუყოფელი  
ნაწილია და იგი მარტო ქართულმა ლეკურმა  
იცის. საბას ლექსიკონი არც დავლურს იხსე-  
ნიებს ცალკე. თუ არა ვცდები, ძველად დავ-  
ლური ხმალში გაწვევას, დუელს ნიშნავდა.  
ყოველ შემთხვევაში, ჩვენს აკაკის ამ აზრით  
აქვს ნახმარი „პატარა კახში“. როგორც  
თვით სიტყვის ეტიმოლოგია გვიჩვენებს, დავ-  
ლური დავლისაგან წარმოდგება. და, მარ-  
თლაც, დავლური—დინჯი, პლასტიკური მო-  
.ქრაობის ცეკვაა.

როდესაც სალამურის მელოდია მეორე  
შუხლზე გადავიდა, ძია ტიტიკო ისე შეინძრა,  
თითქო ადგილობრივ მცირე ნახტომი გა-  
აკეთაო. გაჰკრა რა მარჯვენა ფეხი იატაკს  
და ანთებული თვალები დარბაზს მიავლ-მოავ-  
ლო, მსწრაფლ ჩამოუშვა მხარზე გადაგდე-  
ბული ერთ-ერთი ყურთმაჯა. მომლიმარე და  
სახე გასხივოსნებული, ოდნავი რხევით იგი  
გაემართა დარბაზის ბოლოში მჯდარ მან-

დილოსნისაკენ. ეს იყო მისი მეუღლე, ძალუა თამრიკო, როგორც ახალგაზრდები უწოდებდნენ. მივიდა, გაჩერდა ქალის წინ შორიახლო და მოწიწებით თავი დაუკრა.

- თუმცა ეს გაწვევა ქალისთვის მოულოდნელი არ იყო, მაინც სიწითლის ალმა სახე აუწვა. ალს რომ ნაპერწკალი ჰქონოდა, მთლად აუტრუსავდა მშვენიერ ხალს, მარჯვენა ლოყაზე რომ ჰყვაოდა. თამრიკოზე ამბობდნენ, ოცდახუთმეტ წელს გადაცილებულიაო. ჩვენ წინ კი წამოდგა თითქმის ახალგაზრდობის მაღლით აღსავსე არსება. მადონას არ შევაღარებ. პირიქით, ყველაფერი მასში ამსოფლიური იყო. რასაკვირველია, ეროსის ალერსი უცნობი არ უნდა ყოფილიყო მისი ატამისავით აბუსუსებული ღაწვებისათვის... მთრთოლვარე ხელის შეხება, ალბათ, არაერთხელ ეგრძნო მის უხვად გაფურჩქვნილ გულმკერდს. თვალებიც, აკაკის თქმისა არ იყოს, „გაღალვით მიმტყუებელნი“ უფრო იყვნენ, ვიდრე კდემამოსილების მსახულნი. მაგრამ მაინც იმდენი ჰაეროვნება, იძღენი სინარნარე გამოკრთოდა მის მოძრა-

ობაში, რომ ბევრი ახლად მოჩიტებული ქალიშვილი ინატრებდა მის ასაკში ყოფნას, ოღონდაც ასევე მომხიბლავი ყოფილიყო.

ქალს ეცვა შლეიფიანი ქართული კაბა სარტყელ-გულისპირით. დაბალი ჩიხტაკოპიდან ჩამოშვებული გაბუებული და ბოლოებში დაკულულავებული კავები სიყვარულით ეკვროდნენ ქალის ლოკებს. დაბასმული ლეჩქის გამჭვირვალობაში კი გველივით იკლაკნებოდა ორი მომსხო ნაწნავი, მხრებზე გადაყრილი.

ერთხანს ცოლქმარი ისე შესცქეროდნენ. ერთმანეთს, როგორც შვიდიუცხონი, რომელნიც ეს-ეს იყო პირველად შეხვედრილიყვნენ. და ამ მზერაში გამოსცვიოდა სწორედ ის გულხმიერება ურთიერთისადმი, რაც ორ მოხდენილ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შორის აღიძვრის ხოლმე, პირველად რომ ხედავენ ერთმანეთს. მართლაც, ახლა ისინი ცოლქმარი როდი იყვნენ, არამედ მეტოქენი სქესთა ბრძოლაში.

ბოლოს ქალი დაიძრა და სალამურის შესაბამი რიტმული რხევით შუაღარბაზისაკენ გაემართა. ვაჟი ამავე რხევით უკან გაჰყა.

შუაღარბაზში უკვე ქალი აღარ გაჩერებულა და ხელებგაუშლელად პირდაპირ კივკივზე გადავიდა. ესე იგი, ორმაგი გაქლასუნებით წინ წალებულ მარცხენა ფეხს იგი ოდნავ მთელ ტანს აყრდნობდა და იმავე გაქლასუნებით მარჯვენა ფეხს აყოლებდა შესაცვლელად.

ერთ მთლიან გრეხილად გადაჭცეული ეს ფეხთა ცვლა და ტანის მოძრაობა მოგავონებდათ ზღვის ტალღის დინჯ. წყნარ ქანაობას.

მართლაც, ქალის მთელი ტანი თითქო ლივლივებდა. ამ კივკივით მან შემოვლო პატარა წრე და, როდესაც მის შორიახლო ასევე ამოძრავებულ ვაჟს დაუმხარდამხარდა, ღიმილით გადახედა. ამ ღიმილში დაცინვაც იყო და გამომწვევი კოპწიაობაც. აქ ქალი უცბად შეტრიალდა, მხარი გამოიცვალა და ერთსა და იმავე აღგილას იწყო ფეხის კივკივი. ამასვე აკეთებდა ვაჟიც. ისინი ერთმანეთის მიმართ მხარგასწვრივ იყვნენ, ხოლო სახე სხვადასხვა მხარეს ჰქონდათ მიქცეული.

კვლავ გამოიცვალეს მხარი. მერე ქალმა ფეხის გადაჯვარედინებით რაოდენადმე

ვაჟისკენ მიიწია. ამით წათამამებულმა ვაჟმა, იმავე ფანდით, ხოლო ყოველი გადაჯვარედინების შემდეგ ფეხის ოდნავი რიტმული გასმით, უფრო შეამცირა მანძილი თავისსა და ქალს შორის. ქალმა იწყინა ვაჟის გაბედულება და თავის წინანდელ ადგილისაკენ დაიხია.

ვაჟმა ყურადღება არ ათხოვა. ამ პროტესტს და დაჟინებით მიიტანა იერიში იმავე ფანდებით. ქალი კი ამ დროს ერთსა და იმავე ადგილას განაგრძობდა ფეხის თამაშს სალამურის რიტმის აყოლებით. კაბის ქვეშიდან ხან ერთი პაწია, მშვენივრად გამონასკული ფეხი გამოჩნდებოდა, ხან მეორე. გეგონებოდათ, კაბის ქვეშ ორი მოჭიკჭიკე შაშვი ერთიმეორეს ეალერსებაო. ამისდაკვალად ბთელი ტანიც გრაციოზულად ირხეოდა. საყურადღებო ის იყო, რომ სალამური და ფეხის მოძრაობა, აგრეთვე ტანის რხევა საკვირველად ეხმატკბილებოდა ერთმანეთს. თვითეულომახვილი სალამურის ბგერისა იწვევდა სათანადო ძლიერების მოძრაობას. რა არ მეტყველებდა ამ მოძრაობაში? ჟინიანობაც, გაჯავრებაც, კეკლუცობაც და წახალისებაც. და უკა

შუაღარბაზში უკვე ქალი აღარ გაჩერებულა და ხელებგაუშლელად პირდაპირ კივჭივზე გადავიდა. ესე იგი, ორმაგი გაქლასუნებით წინ წალებულ მარჯვენა ფეხს იგი ოდნავ მთელ ტანს აყრდნობდა და იმავე გაქლასუნებით მარჯვენა ფეხს აყოლებდა, შესაცვლელად.

ერთ მთავარ გრეხილად გადაქცეული ეს ფეხთა ცვლა და ტანის მოძრაობა მოგაგონებდათ ზღვის ტალღის დინჯ, წყნარ ქანაობას.

მართლაც, ქალის მთელი ტანი თითქმილივლივებდა. ამ კივჭივით მან შემოვლო პატარა წრე და, როდესაც მის შორიახლო ასევე ამოძრავებულ ვაჟს დაუმხარდამხარდა, ღიმილით გადახედა. ამ ღიმილში დაცინვაც იყო და გამომწვევი კოპწიაობაც. აქ ქალი უცბად შეტრიალდა, მხარი გამოიცვალა და ერთსა და იმავე ადგილას იწყო ფეხის კივჭივი. ამასვე აკეთებდა ვაჟიც. ისინი ერთმანეთის მიმართ მხარგასწვრივ იყვნენ, ხოლო სახე სხვადასხვა მხარეს ჰქონდათ მიქცეული.

კვლავ გამოიცვალეს მხარი. მერე ქალმა ფეხის გადაჯვარედინებით რაოდენადმე

ვაჟისკენ მიიწია. ამით წათამამებულმა ვაჟმა, იმავე ფანდით, ხოლო ყოველი გადაჯვარედინების შემდეგ ფეხის ოდნავი რიტმული გასმით, უფრო შეამცირა მანძილი თავისსა და ქალს შორის. ქალმა იწყინა ვაჟის გაბედულება და თავის წინანდელ ადგილისაკენ დაიხია.

ვაჟმა ყურადღება არ ათხოვა. ამ პროტესტს და დაჟინებით მიიტანა იერიში იმავე ფანდებით. ქალი კი ამ დროს ერთსა და იმავე ადგილას განაგრძობდა ფეხის თამაშს სალამურის რიტმის აყოლებით. კაბის ქვეშიდან ხან ერთი პაწია, მშვენივრად გამონასკული ფეხი გამოჩნდებოდა, ხან მეორე. გეგონებოდათ, კაბის ქვეშ ორი მოჭიკჭიკე შაშვი ერთიმეორეს ეალერსებაო. ამისდაკვალად ბთელი ტანიც გრაციოზულად ირხეოდა. საყურადღებო ის იყო, რომ სალამური და ფეხის მოძრაობა, აგრეთვე ტანის რხევა საკვირველად ეხმატკბილებოდა ერთმანეთს. თვითეულობახვილი სალამურის ბეჭერისა იწვევდა სათანადო ძლიერების მოძრაობას. რა არ მეტყველებდა ამ მოძრაობაში? ჟინიანობაც, გაჯავრებაც, კეკლუცობაც და წახალისებაც. და ყო-

ველივე ეს პლასტიკურობით და გრაციით  
იყო სავსე.

აი, ახლოს მიატანა ვაჟმა ქალს და ის  
იყო ხელების აწევას ლამობდა, თითქო რა-  
ლაც უნდა უთხრასო, რომ ქალი ნერვიუ-  
ლად შემოტრიალდა და განზე გაგოგდა.  
დააგდო რა საკმაო მანძილი თავისსა და  
ვაჟს შორის, მან იწყო ფართო წრის, თით-  
ქმის მთელი დარბაზის შემოვლა იმავე ლივ-  
ლივით. რასაკვირველია, ვაჟი გამოედევნა  
და ამ დევნის დროს იგი ჰქმნიდა სხვადა-  
სხვა ფიგურაციას, ყოველთვის სალამურის  
რიტმულობის ფარგალში.

როდესაც ასე შემოვლით ქალმა ქვლავ  
თავის ადგილს მიაღწია, ხოლო ვაჟმა თავი-  
სას და ისინი ერთმანეთზე დიდ მანძილზე  
იყვნენ, ქალი უცბად ვაჟისაკენ შეტრიალდა  
და იმავე ლივლივით მისკენ გაემართა. თა-  
ნაც მთელი მისი არსება თითქო ამ კითხვას  
გამოხატავდა: „რა გინდა? რა გინდა? რა  
გინდა?“ ვაჟიც გასხივოსნებული სახით მის-  
კენ ისწრაფოდა და თითქო უპასუხებდა: „შენ  
მინდიხარ! შენ მინდიხარ! შენ მინდიხარ!“.

რა მიუახლოვდნენ ერთმანეთს, ვაჟმა ხელები ამართა. ვერ გაიგებდით, მოსახვევნად, თუ აღტაცების ნიშნად, ხოლო ქალმა სახე დაიჩრდილა მარჯვენა მკლავით და ორივენი ამ პოზაში ქანდაკებასავით ჩამოიქნენ.

\* \* \*

დავლური დასრულდა, მაგრამ თვით ცეკვა არ გათავებულა. მე დავტოვებ ქალ-ვაჟს მათ პოზაში და ორიოდე სიტყვას ვიტყვი ზოგადი ხასიათისას.

გახსოვდეთ, მე ვეცადე გადმომეცა ქონ-კრეტულად დავლურის მთავარი ელემენტები. მაგრამ ეს მხოლოდ ჩონჩხია იმისა, რაც ამ ორმოცდახუთი წლის წინად ვნახე. ჩონ-ჩხია-მეთქი, რადგანაც შეუძლებელია ყველა იმ ნიუანსისა, სახის ყველა იმ მეტყველებისა და სხეულის მრავალმხრივი მოძრაობის დაწვრილებით აღნუსხვა, რაც საოცნებო სამკაულივით ამშვენიერებდა მათ ცეკვას. იქ მყოფთა შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ წარმოიდგინეთ; ტაში, რომელიც,

ჩვეულებისამებრ, ყველამ დასაწყისშივე აადევნა ცეკვას, თანდათან შეწყდა და ყველანი მზერად გადაიქცნენ.

დავლური მეტისმეტად ძნელი საცეკვაოა. დიდი პლასტიკურობაა საჭირო, დიდი სიღარბაისლე. მაგრამ, ამასთანავე, დიდივე ემოციურობაც. ყველა ამის ერთად მოთავსება, რაღა თქმა უნდა, შეუძლიან მხოლოდ ნამდვილ არტისტს, არტისტს—შემოქმედს. ამიტომაც, უკვე ჩვენ დროს ჩინებული მოცეკვავენიც კი გაურბოდნენ დავლურს. ამნაირად, იგი ჩამოსცილდა ლეკურს და მხოლოდ ისტორიულ ცნებადლა დარჩა. უდავლუროდ კი ლეკური მთლიანობას კარგავს, თუ ლეკურს წარმოვიდგენთ იმ შინაარსობრივი სახით, როგორც ზევით მოგახსენეთ.

\* \* \*

ამრიგად, ქალ-ვაჟი ქანდაკებასავით იდგა, ვიდრე სალამური და დოლი ერთბაშად ლეკურზე არ გადავიდა. მესალამურე შესანიშნავი დამკვრელი იყო, მედოლეც—დიდი ოს-

ტატი. ისინი ანტუხურ ლექურს უკრავდნენ. ჰანგი სავსეა მკვეთრი მახვილებით, რაც ეკილოკავება მოცეკვავე ლეკების წამოძახილებს, ცეკვის დროს მოხდენილ ფანდს რომ გააკეთებენ ხოლმე. აი, ამ მახვილებზე სათანადო რეაგირებაა საჭირო მოცეკვავის მხრით.

გაისმა თუ არა პირველი გამყივანი ბგერა სალამურისა, მორცხვად მდგომარე ქალი ელასტიკურად გადაიზნიქა მარჯვენა მხარეს და მეორე მახვილზე უეცრივ მოსწყდა თავის აღგილს. მან მაღლა ამართული მკლავებით შველივით სივრცეში გაინავარდა. ვაჟმა კი საკვირველი ნახტომი გააკეთა გვერდზე, ქორი რომ კამარას შეჰქრავს ხოლმე, სწორედ ისე დაედევნა ქალს. ქალი მისრიალებდა, თანაც ხანდაზმით უკან იხედებოდა, მდევარი შომდევს თუ არაო. ვაჟი მისდევდა ნახტომ-ნახტომ სრბოლით. ეს იყო ტიტიკოს მიერ შემოღებული დავლა, ვაჟკაცური ენერგიით სავსე, ამასთანავე უაღრესად ელასტიკური და რიტმული. ამ სრიალ-სრბოლით

მოცეკვავეებმა დარბაზს ირგვლივ ორჯერ  
შემოუარეს.

ქალი წინ იყო და თითქო გამარჯვებას  
დღესასწაულობდა. მაგრამ მესამე შემოვლა-  
ზე, ვაჟმა კვლავ ერთხელ კიდევ გააკეთა  
ქორული კამარა. გვერდზე გახტა, უყელა  
ქალს და სვეტივით წინ დაერჭო. გაქანებუ-  
ლი ქალი უეჭველად უნდა შეხეთქებოდა  
ვაჟს, როგორც ხანდახან ისარივით გაძაბულ  
ჩიტს ემართება ხოლმე: წინ მდგარ ხეს ვერ  
შენიშნავს და მოულოდნელად ზედ მიაწყდე-  
ბა შეკრდით. მაგრამ ქალი არ შეუკრთია ამ  
მოულოდნელობას და გაბედულად მისრია-  
ლებდა, გაუსხლტა ვაჟს ქორის ფრთებსავით  
გაშლილ მკლავებქვეშ და ასცდა განსაცდელს.  
დარჩა ვაჟი პირში ჩალაგამოვლებული. ჩა-  
მოყარა მკლავები. გაშეშებულივით იდგა  
იმავე ადგილზე მილურსმული, სადაც მარ-  
ცხი განიცადა.

აი, ამ მხატვრულმა ფანდმა გვიჩვენა, რა  
დიდი არტისტი იყო ტიტიკო. მან ამით გაა-  
მართლა, დაასაბუთა ვაჟის უცარი გაჩერე-  
ბა, რაც ასე გაუგებარია და უაიზებო ჩვეუ-

ლებრივად რომ ხდება ხოლმე: შემოუვლიან, ფესს გაუსმენ და დადგებიან, თითქო დასას-ვენებლად. სწორედ მაშინ ვიგრძენ, თუ რა უსუსურები ვიყავით ჩვენ, განთქმული მოლექურენი, ტიტიკოსთან შედარებით. ამ წამიდან იმ აზრმა გამიტაცა, . თუ რა მოტივაცია ექნებოდა ქალის გაჩერებას?

ვიდრე ვაჟი სირცხვილეული იდგა, ქალმა დარბაზს შემოურბინა, გვერდზე გაუარგ ვაჟს სახის დამცინავი მეტყველებით და გან-ზე გაიწია. სამშვიდობოში გასული ქალი ნარნარით შემოტრიალდა და ვაჟისაკენ გა-მოემართა. იგი მოდიოდა დინჯი რხევით, ფეხთა რიტმული გადაჯვარედინებით და ხლართსა და ხლართს შუა იგი აკეთებდა ოდნავ შესამჩნევ ჰაეროვან ცეკოს, ფეხის წვერებზე ამართული.

ეს რომ დაინახა, ვაჟმა სიხალისე იგრძნო, ყურთმაჯები მხრებზე გადაიგდო. ხელები გა-შალა და ადგილობრივ ფეხები შეათამაშა. როდესაც ქალი სულ ახლოს მივიდა და ერთ წერტილზე ჰაეროვან ცეკოს განაგრძობდა, ვაჟმა ფეხის გასმით წინ წაიწია. ქალ-ვაჟი პირისპირ იყვნენ. ქალმა უკან-უკან იწყო სრბოლა დინჯი სრიალით. ამასთანავე იგი ისე ოსტატურად იხევდა უკან, რომ გრძელი

შლეიფის ნაკეცისათვის არც ერთხელ ფეხი  
არ დაუდგამს. ფეხის ოდნავი შერხევით  
შლეიფს უკან გადაისროდა ხოლმე და ეს.  
მოძრაობა იმდენად მოხდენილი იყო, რომ  
გეგონებოდათ, იგი ცეკვის ერთ-ერთი ფირ-  
გურაციააო.

ვაჟი კი ამ დროს სანაქებო ფანდებს ის-  
როდა, ასეგონია, ცდილობდა ქალი მოეხიბ-  
ლა თავისი ოსტატობით. მართლაც, ქალი  
იხიბლებოდა. უკან-უკან სრბოლის დროს მი-  
სი სახე მეტყველებდა სიამოვნებასა და აღ-  
ტაცებას. ვაჟის სიჩაუჭით ტყვევნილს, მას  
თითქო ავიწყდებოდა, რომ მოქიშპესთან  
აქვს საქმე და უნებურად იგი თავდაციწყებას  
ეძლეოდა. შეუცნობლად, მაგრამ გრაცია-  
ოზულად ხელები ჩამოუშვა და ნელინელ  
სრბოლა განაგრძო, ვიდრე დარბაზის კიდემ-  
დე არ მიაღწია. აქ მისი მოძრაობა სულ  
მინელდა და, ბოლოს, ქალი მთლად გაჩერდა,  
ასეგონია, ოცნებაში იყო ჩაფლული.

აქაც ქალის გაჩერება სრულიად გამარ-  
თლებული იყო. მან თითქო დაკარგა გაძა-  
ლიანების უნარი და, ვაჟის მიერ მოჯადოე-

ბული, იგი მიჰქვა მის ნებას. მზერალია  
გადაიქცა.

მაგრამ ვაჟი არა ცხრებოდა. თუმცა  
გრძნობდა, რომ ნავსი გატყდა, ქალი მოთვი-  
ნიერდა, მაგრამ, ალბათ, ეშინოდა, უეცრად  
მიტევამ არ გამოაფხიჩლოსო. მან კვლავ შე-  
მოურბინა დარბაზს, ხოლო სულ სხვა დავ-  
ლით, სრიალ-სრიალით. შედგა ერთ ადგი-  
ლას ჭალის მოშორებით და ფეხი გაუსვა.  
ეს იყო პირდაპირი გასმა. რამდენჯერმე  
ტერფი ტერფზე შემოიდო და ცალფეხზე  
შეხტომით გაქანდა, ასე რომ იყო წამი, რო-  
დესაც გეგონებოდათ, იგი ჰაერშია იატაკზე  
ფეხდაუკარებლადაო. ყოველივე ეს შესრუ-  
ლებული იყო საკვირველი სისწრაფით და  
შოსხლეტით. ამასთანავე ფეხის გასმის დროს  
ირხეოდა მხოლოდ ფეხები, წელზევით იგი  
უძრავი იყო. ფრთებივით გაშლილ ხელებში  
ეჭირა კაბის ყურთმაჯები, რომელთა ყოშე-  
ბიც ფუნჯივით ეკიდა. ამის შემდეგ ფეხის  
გადაჯვარედინებით და შუაში ცეკოთი ქა-  
ლისაკენ წამოვიდა. შემოტრიალდა ბზრი-  
ალასავით და კვლავ გაუსვა. გასმა იყო სა-

რეცხული. აქ იჩინა თავი მისმა საკვირველ-  
მა ტექნიკამ, ზემოთ აწერილმა ლეკურმა  
ტექნიკამ.

ფიგურაცია ფიგურაციას მოსდევდა, ერთი-  
ერთმანეთზე უფრო რთული, უფრო გრაცი-  
ოზული. გამაოცებელი ის იყო, რომ თვი-  
თეული ფიგურაცია სულ სხვადასხვა გრძნო-  
ბას არეკლავდა: ხან ბრავურულ, გაშმაგებულ  
ვნებას, ხან სათუთ, უნაზეს, მაგრამ მწველ  
ლამუნს. ეს იყო თითქო რაღაც იეროგლი-  
ფები, რომლითაც იატაკზე იწერებოდა პოვ-  
მა ტრაფიალებისა, ცეცხლოვანი, ზეაღმტაცი.  
ბოლოს, წამოუქროლა ქალს და გაიტაცა  
იგი. ორივენი მისრიალებდნენ მხარდამხარ,  
ერთმანეთზე სულ ახლო: ქალი ზეამართული  
მკლავებით, რომლებიც ზლაპრულ გველები-  
ვით იკლაკნებოდნენ, გეგონებოდათ, თითე-  
ბიც კი მეტყველებდნენ სიხარულს, დატკბო-  
ბას, ნეტარებას. ვაჟს მკლავები ფრთებივით  
გაეშალა. მისი მარჯვენა მკლავი თითქმის  
კისერზე ჰქონდა ქალს შემოვლებული.

გაიქროლეს დარბაზის ერთი კიდიდან  
მეორე კიდემდე და კვლავ გამოიქროლეს.  
შუადარბაზს რომ მიატანეს, ვაჟმა უეცრად

თავისი ცნობილი ნახტომი გააკეთა, დაუარა  
ქალს, წინ დაუხვდა.

ამრიგობაზე ქალმა ვერ მოასწრო ვაჟის  
ხელიდან გასხლტომა, თუ ეს მისი სულისკვე-  
თებაც იყო, იგი ვაჟის მკლავებშუა მოექცა.  
ხოლო შეყრის დროს იგი ანაზღეულად შეტ-  
რიალდა და მხრებით თითქმის ვაჟის მარც-  
ხენა მკლავს მიესვენა. სირცხვილისა თუ ნე-  
ტარების მეტყველი სახე კი (მე მგონია,  
ერთისაც და .მეორისაც) გვერდზე მიექცია,  
ასეგონია, პირდაპირ კოცნას ერიდება, მაგ-  
რამ პარულად მოწყვეტილი კოცნის წინააღ-  
მდეგი არ იქნებაო.

შეწყდა სალაშური. მაგრამ მისი მუსიკა  
თითქო ამ ორ ადამიანად განხორციელებუ-  
ლიყო, ჩვენ წინაშე ცოცხალ სურათად  
რომ იდგნენ.

დარბაზში მყოფნი ერთ ხანს სდუმდნენ,  
როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, როდე-  
საც ადამიანი დიდ სულთაძვრას განიცდის.  
მაგრამ გაიარა ამ თავდავიწყების წაშმა და  
იგრიალა ტაშმა. მერე, რა ტაშმა?! გრგვინ-  
ვა იყო, ტაში კი არა!

დიახ, მეგობრებო! ლეკური ჩვენი ხალხის  
კულტურის დიდი ძეგლია. იგი შექმნა ხალ-  
ხმა. შეიძლება, დროთავითარების გამო, მან  
დაკარგა ის ძლიერება და მშვენება, რაც  
მას ხალხმა დაანათლა. მაგრამ მე სრულიად  
დარწმუნებული ვარ, იგივე ხალხი აღადგენს  
მას იმავე მშვენებით და ძლიერებით. ამის  
უტყუარი თავდებია ჩვენი ძირიან-ფესვია-  
ნად განახლებული ცხოვრება.

1937 წ. სექტემბერი.,

— ეს, კუჭი ხომ ბოძი შევუდგით! — დაიძა-  
რა ამოქშენით მალხაზმა. — აბა. ახლა დაასხი.  
ვანო, ნარიმაანთეული. ბოძს ძირი ჩავურბი-  
ლოთ, რომ ნიადაგში გამაგრდეს!..

მალხაზს ღვინო დაუსხეს.

— აბა, ჩემო რძალო! — მიმართა პირმომ-  
ლიმარე მალხაზმა ჭიქით ხელში ელისა-  
ბედს. — ეს, იდლეგრძელე და იცოცხლე დიდ-  
ხანს, იმიტომ რომ ჩემისთანა მოხუცის პა-  
ტივისცემა იცი.

— გმადლობ, ჩემო მალხაზ. გმადლობ, — უპა-  
სუხა ღიმილითვე ელისაბედმა.

ყველამ დავლიერ დიასახლისის სადლეგრ-  
ძელო.

მალხაზმა ერთი ისუნთქა და ნარიმანთე-  
ული ხახაში გადაუძახა. მერე დასველებული

ტუჩები ენით გაილოკა, ულვაშებზე ხელი  
გადაისვა და ზალიკოს გადასძახა:

აბა, ჩემო ძმისწულო, მომყევი შენებურად!  
აქ მალხაზმა ჩაახველა, ყანყრატო ჩაიწმინ-  
და და შემოსძახა გრძელი შრავალეამიერი.  
დანარჩენმა ჩოხოსნებმა ბანი ააღევნეს. მაგ-  
რამ მოძახილი არსალ იყო და ყველანი ერთ-  
ბაშალ გაჩუმდნენ.

— ზალიკო, რა დაგემართა?! — მიაძახეს  
აქეთ-იქიდან ყმაწვილებმა.

— კაცო, რა თავპირი ჩამოგტირის? ხმა  
ამოიღე! — შეუძახა ვანომ ზალიკოს.

ზალიკო გაჩუმებული იყო და ოდნავ თავ-  
დაპრილი.

— ბიჭო, არა გრცხვენიან? — მიმართა  
მალხაზმა ზალიკოს, და მის ხმაში რაღაც  
ლმობიერი კილო გაისმა. — თუ მე მემდური,  
ძმაო, ამ პატიოსანმა ხალხმა რაღა დააშა-  
ვა?.. ბოდიში მომიხდია, შვილო! მეტი რა-  
ღა გინდა? ოღონდ ერთი შენებურად მომ-  
ძახე... ახლა, ქეიფს ნუ გამიტუჭებ, მამაშვი-  
ლობას!.. კარგ გუნებაზე ვარ.

ზალიკო ხმას არ იღებდა, გაქვავებული-  
ვით იჯდა.

ატყდა საერთო ხმაურობა, ზალიკოსადმი  
მიმართული. ქალიშვილები თუ ყმაწვილი-  
კაცები, მანდილოსნები თუ მოხუცები—ყვე-  
ლანი ერთხმად ეხვეწებოდნენ—იმღერეო.  
ზალიკომ თავისმართლება დაიწყო—ხმა წა-  
სული მაქვს, წუხელის ბევრი ვსვით და ვიღ-  
რიალეთო.

— ზალიკო! როგორც გეხერხოს, ისე  
თქვი!— მოისმა წყნარი, მაგრამ მბრძანებე-  
ლი ხმა თამროსი, რომელიც აქამდე გაჩუ-  
მებული იჯდა. მერე მე მომიბრუნდა:— მშვე-  
ნიერი ხმა აქვს, ნამეტნავად ქართული სიმ-  
ღერებისათვის— თქვა მან.

თამროს მოწოდებაზე ზალიკომ თავი მაღ-  
ლა ასწია. ერთხანს შეჩერდა, თითქო ცდი-  
ლობს ამ მბრძანებელ ხმას გაუძალიანდესო,  
მაგრამ ბოლოს თავი გააქნია და, პირზე  
ლიმილმომდგარმა, შესძახა მალხაზს:

— აბა, დაიწყე!

— უჰ, შენ კი გენაცვალე მაგ დარღიმანდ-  
გულში!— დაიძახა მალხაზმა, ზალიკოს თან-  
ხმობით გულმოცემულმა.

— აბა ჰე! წმინდა ბანი შითხარით. —  
შიგართა გალსაზმა ლიმილით ბანის მოქმედ  
ყმაწვილებს და კულავ შემოსძახა.

გრძელი მრავალეამიერი რამდენჯერმე  
მომესმინა თბილისში ქართული პროფესიული  
გუნდებისაგან და ისედაც, საღილ-ეაბშამზე,  
სიმღერის მოყვარულთაგან, მაგრამ ახლა  
რომ ყურს ვუგდებდი. — კახური მრავალეამიერი,  
კახელებისაგან თქმული, კახურ სუფრა-  
ზე, მერე ნადიმის დასაწყისშივე, როდესაც  
მომღერალთა ბმას ჯერ კიდევ დალლილობა  
არ დასტურდოდა, სმენადამატევევებელ ბგე-  
რათა ნაკადად ჩამესმოდა ყურში. როგორც  
სადღესასწაულო რამ ჰიმნი. მართლაც და...  
იგი დარბაისლურ. გრძნობათა ზეალმაფრენ  
ჰიმნს უფრო ჰვაეს, ვიდრე მხიარულ სასიმ-  
ღერო ჰარეს. იგი მსმენელზე ისე მოქმედებს,  
ვით თვალუწვედენელი ზლვის ტალღების  
წყნარი. მაგრამ მედიდური ჩქეფა, რომე-  
ლიც თანდათან მატულობს და ზაეთიანდება.

ჰირველი ხანა — თითქო რომელილაც უძვე-  
ლესი წარმართული კულტის, — ალბათ, სუფ-  
რის ან, საერთოდ, ნადიმის ამსახველია —

დინჯი, ხმააუკიდებელი და ზენარული ხა-  
სიათისა. მხოლოდ მეორე ხანიდან იწყება.  
ასამალებელი, როდესაც მოძახილი, ჩა-  
მოართმევს რა პირველ ხმას ჰანგს, რამდენ-  
სამე მისახვევ-მოსახვევს აკეთებს და მოე-  
დანს კვლავ პირველ ხმას უთმობს.

როგორც.. საერთოდ, ყველა ქართულ  
სიმღერაში, მრავალგამიერშიაც მოძახილი  
თავისთავადი ნაწილია მთელი სხეულისა და  
პირველ ხმას, -- ე. ი. მუსიკალურ სიუჟეტს,  
მთავარ მელოდიას, მონურად როდი და-  
ლოდება. პირიქით, სწორედ მრავალგამიერ-  
ში მოძახილის „დამოუკიდებლობა“ ზენიტამ-  
დეა მიღწეული. არის ამ სიმღერაზე ისეთი  
მომენტები, როდესაც პირველი ხმა პირვე-  
ლობას მოძახილს უთმობს და თითონ კი  
ერთ ამოძახილს მიეზიდება. და სწორედ აქ  
მოძახილი ჰქებნის მრავალგამიერის მთელ  
მშვენებას როგორც ბეჭრათა მრავალფერო-  
ვანი შეხამებით, ისე მთლად სიმღერის ში-  
ნაარსის გამომელავნებით. საგულისხმოა, რომ  
მრავალგამიერში სიტყვებს მოსთქვამს მხო-  
ლოდ მოძახილი. პირველი ხმა კი მარტო

ერთ სიტყვას იმეორებს ყველგან: „მრავალ-  
უმიერს“. ამ სიტყვითვე აღის იგი უმწვერ-  
ვალეს საფეხურზე და ამ სიტყვითვე ათავებს  
მთელ სიმღერას. მხოლოდ ბოლოში „დას-  
ტალულივით“ რამდენსამე მელიზმურ, ჩუ-  
ქურთმოვან მუხლს აკეთებს უსიტყვოდ და  
დაბლა ეშვება.

მრავალუამიერი სრული სურათია ნადიმი-  
სა ან საერთოდ, სხვა რამ ზეიმისა. რო-  
გორც ზევითაც ვთქვი, პირველი ხანა თით-  
ქო საკულტო იერისაა—მონალიმენი დინჯი  
კმაყოფილებით აღნიშნავენ სუფრის სიუხვეს.  
მეორე ხანა გვიჩვენებს, რომ ნადიმი გაიშა-  
ლა, გაიფურჩქნა... მეინახეთა სისხლმა ძა-  
ლუმად იწყო ჩქეფა, ნაპერწკლობა, თვალწინ  
სივრცე ათამაშდა, გული ლალობს, სული  
აღმაფრენას ეძლევა და აღამიანი მზად არის  
საგმირო საქმისათვის.

ბიძა-ძმისწული შესანიშნავი მთქმელნი იყ-  
ვნენ ქართული ჰანგისა. მოხუცის, სულ ოდ-  
ნავ, ხრინწმორეული, მაგრამ ამასთანავე მე-  
ტად მაღალი და მჭახე ხმა თამამად აპობდა  
ჰაერს და თითქო ფერადებით აღნიშნავდა

მთრთოლვარე სივრცეში ჰანგის ზოლს. ზალიკოს ტკბილი და მოქნილი ხმა სვიასავით ეტმასნებოდა ამ ზოლს, ეგრიხებოდა და საამურის გზნებით ჩაესმოდა მსმენელის ყურს.

და, როდესაც მოხუცმა პირველ ასაკიდებელს მიაღწია და სულმოუთქმელად ოქროს ლარივით გაავლო ერთი და იგივე ამოძახილი, ზალიკომ იწყო სიტყვების მოთქმა.

„ვისაც მოუკლავს—ის მოჰკლავს  
ნადირსა შავის ტყისასა,  
ვიწც დაწვდა—იგივ დაწვდება  
კარზე რაზმს მომდგარს მტრისასა!“

მოხუცის ომახიან და ერთიანად გაბმულ ზაძახილსა და ბანის მდორე. გუგუნში ზალიკო თითქო სიტყვებით აგვირისტებდა ჰანგის მელოდიას. შთაბეჭდილება ისეთი იყო, გეგონებოდათ ბგერები შენივთდნენ, სიტყვებმა სხეული შეისხეს და ცხოველ სახეებად აგიზგიზდნენ. უღრანი ტყე, მოკლული ნაღირი, კარზე მომდგარი მტერი და ვაჟკაცური დახვედრა—ფერადოვან სურათად გადაიშალა მსმენელთა წინაშე. ისინი არა მარტო

ისმენდნენ სიმღერას, არამედ თითქო თვალითაც ჭვრეტდნენ ამ სიმღერით შექმნილ სანახაობას.

აი, მოძახილში გააკეთა უკანასკნელი ხვეული, თითქო კიბეზე ჩამოინავარდაო, და პირველი ხმა შეუდგა უკანასკნელ ასაკიდებელს სიტყვაზე „მრავალუამიერ“. და, როდესაც თანდათანი აზიდვით „ვალუი“ ბგერამდე ავიდა, მოხუცმა ისეთი მახვილი დაჰკრა ამ ბგერას, რომ მისი ხმა ჭექასავით გაისმა. მოძახილი კი ამ დროს, ორგორც თავდადებული თანამებრძოლი, მხარდამხარ მისდევდა პირველ ხმას და აჭეთ-იქით უვლიდა, გეგონებოდათ, ზეალმავლობას უადვილებსო.

სიტყვა „უამიერიდან“ პირველი ხმა მოძახილივით ხვეულ-ხვეულებით ქვევით დაეშვა და, გაუკეთა რა ჰანგს უსიტყვო გრეხილოვანი ბოლოკაზმულობა, დინჯად ჩატბორდა.

ჰანგი გათავდა.

მაგრამ მომღერალნი ზეშთაგონებამ გაიტაცა, ეშხში შევიდნენ და მათ ჰანგი კვლავ მოატრიალეს, ხოლო უპირველნაწილოდ.

მობრუნებაზი პირველ დაძახილს აღარ  
იმეორებენ ხოლმე. ასეთ შემთხვევაში თით-  
ქმის არავითარი პაუზა არა ხდება და სიმ-  
ლურა გრძელდება, თითქო ჰანგი არც კი  
დამთავრებულიყოს: მობრუნებისას პირველი  
• ხმა იწყებს უსიტყვო გრეხილოვან ზეალმავალ  
კლაკნილ, მელიზმურ ფიგურას—„ჰე-ჰე-ჰე-  
ჰეეეიჰ“. ეს მოძახილი ჩამოართმევს მელო-  
დიას და გააკეთებს მოკლე-მოკლე, ცვალე-  
ბად ბვერათა უსიტყვო ჩუქურთმიან მუხლებს  
ქვეჩამავალი მელიზმის სახისას. ამას მიჰყე-  
ბა პირველი ასაკიდებელი.

ჰანგის თვითეულ მობრუნებაზე ხმის რე-  
გისტრი ერთი ტონით მაღლა იწევს და ამი-  
ტომი სიმღერა უფრო და უფრო ზავთიანდე-  
ბა და ხმოვანდება. და, რადგანაც ასლა იგი  
თავიდანვე სკმაოდ მაღალ ფარდებში იყო  
დაწყებული, მომღერლების ხმებმა ჭახჭახი  
იწყეს. ბანის გუგუნიც გაძლიერდა, თითქო  
გარდიგარდმო გაიშალა ფართო არედ პირ-  
ველისა და მოძახილისათვის.

გაწვრილდა მოხუცის ხმა სიმივით და,  
როგორც მოქანავე შუქი, ისე აციალდა საღი

ვიბრაციით. ხმა თითქო სივრცეში ელვასავით იხვლანჭებოდა. სამაგიეროდ, ზალიკოს ხმა შემკვრივდა ცეცხლში გამოკვეთილი ლითონივით და მგზნებარედ აფლერდა. პირველში მე ზალიკო შესანიშნავ ბარიტონად მეჩვენა. ახლა კი, როდესაც მეტად მაღალ ფარდებში ავიდა სრულიად თავისუფლად, იგი უებრო ტენორი გამოდგა, ნამდვილი დრამატული ტენორი.

მოხუცის გამყივანზე ზალიკოს ხმა ვერცხლის ზარივით რეკავდა რუსთველის სიტყვებს:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა  
გზა ვიწოო, ვერცა კლდოვანი,  
მისგან ყოჭელი გასწორდეს  
სუსტი და ძალ-გულოვანი“...

უვნებლად განვლო მოხუცმა ბეწვის ხიდი—მეორე ასაკიდებელი ჰანგისა „ვალუიზე“. თუმცა პირვანდელი ჭახანი ამ ბგერისა უფრო ძლიერი იყო, მაგრამ მაინც მალხაზმა პირნათლად და უზადოდ გააკეთა ფერმატა ამ უმწვერვალეს საფეხურზე და ზოგიერთი

პროფესიონალი მომღერალივით როდი მია-ფუჩიება ასამალლებელი. სამაგიეროდ, ზალიკომ, რომელიც მხოლოდ ერთი ტონით დაბლა მისდევდა მას, ჰპოვა სრული გასაქანი თავისი მშვენიერი ხმისათვის და ისეთი სიმკვეთრით და აღგზნებით აუკიდა ხმა ამ ასამალლებელში, რომ იგი სხივივით ალაპლაპდა, საერთო გუგუნში.

ყურს ვუგდებდი სიმღერას და თანდათან მღელვარება მეუფლებოდა. მთელ სხეულში რაღაც სითბო ვიგრძენ, თითქო ელექტროდენმა დამიარაო. მაჯისცემა გამიხშირდა, შუბლი მომენამა, საამო ურუანტელმა ამიტანა. პირზე, ალბათ, ნეტარების ღიმილი ამითამაშდა. ალბათ-მეთქი, იმიტომ, რომ ყველა სხვა იქ მყოფს ასეთივე ღიმილი უკრთოდა სახეზე. ვგრძნობდი, რომ ჩემს არსებაში ვეღარ ეტეოდა აღტყინება და თითქო მის დასაოკებლად თვალზე მომდგომოდა ნეტარების უნებური ცრემლი და მე, წვერულვაშიან ვაჟკაცს, როდი მრცხვენოდა ამ უნებური ცრემლისა.

ამ უალრესად მაქორულმა სიმლერამ, გვზნებარებით და მხნეობით სავსემ, უველანი ერთის კრძნობით შეგვაკავშირა, ერთბანეთს დაგვამსგავსა, მთლიან ერთეულად შეჯვერა. დარწმუნებული ვარ, საჭირო რომ ყოფილიყო იმ დროს რაიმე საგმირო საქმის ჩადენა, არც ერთი იქ მყოფთაგანი—დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი—უკან არ დაიხევდა თვით სიცოცხლის განწირვის წინაშეც კი.

სხვებისა არ ვიცი და პირადად მე. ამავე დროს, უამრავი აზრი და წარმოდგენა ამითორიაქდა თავში. ერთი მეორეს ანაზღეულად სცვლიდა. ხოლო ცველა ერთად და თვითეული ცალკე მარტოოდენ ერთ რამეს დასტრიალებდა გარს. ამ ფიქრისა და წარმოდგენის საგანი იყო ხალხი, რომელმაც ეს დიდებული სიმლერა შექმნა. და უეცრად გაძახსენდა ილიას სიტყვები—ჩვენს ისტორიაში ხალხი არა ჩანს, ჩვენი ისტორია მხოლოდ მეფეების ისტორიაა. და, თითქო ამ დადი ადამიანის გულის წუხილით ნათქვამი ჟიტყვების პასუხი - ის სიმლერა იყო, ორცელსაც ახლა ვისმენდი.

თუ სამეფო კარის ნაფიცი მემატიანენი თავიანთი სათაყვანებელი მეფეების „საგმი-რო საქმეთ“ აგვიწერდნენ, სამაგიეროდ ხალ-ხი თვით წერდა თავისი გმირობის მა-ტიანეს.

იგი წერდა უფრო ნათლად, უფრო ძლი-ერად, უფრო ხელშესახებად, უფრო მიუღ-გომლად, უფრო მხატვრულადაც. იგი წერ-და ამ მატიანეს „მრავალუამიერით“, „სუფ-რულით“, „ხელხვავით“, „ნადურით“, „ურ-მულით“. „ლილეთი“, „ლეკურით“ „ბალდა-დურით“, „ხორუმით“.

იგი წერდა გრძნობა-გონებით და სიბრ-ძნით სავსე ლეგენდებით, ლექსებით, ანდა-ხებით. გამოცანებით.

იგი წერდა თვის მიერ ნაშენი საკვირველი ციხეუოშეებით, ტაძრებით, არხებით. იგი სწერდა ვაზის განსაკვიფრებელი კულტუ-რით, იმ ვაზისა. რომლის წვენიც სიხარუ-ლით ავსებს აღამიანის არსებას. იგი სწერ-და დიკის ხორბლის გამოყვანით, რომლის შოთიც ლვერთკეცივით მაჯაზე დაიხვევა და კემრიელია ნაზუქივით.

იგი სწერდა... და რა იყო ქვეყნად ისეთი  
რამ, ადამიანის გონიერით მოგონილი, რომ-  
ლითაც ხალხს თავისი გმირობის მატიანე  
არ ეწეროს!

ყურს ვუგდებდი სიმღერას და მის მიერ  
აღძრული ოცნება გონიერის თვალშინ მიშლი-  
და ამ დიადი მატიანის კაბალონებს.

ჩემ წინ ვიდოდნენ საუკუნენი, რომელთა  
განმავლობაშიაც ჩვენი ხალხი სწერდა ან  
თვალუწვდენ მატიანეს თავისი სისხლით და  
ოფლით, თავისი ტანჯვით და სიხარულით.

1937 წ. ოქტომბერი.

ლულუნი იგი ჩამრჩენია გულს,  
მწუზარე არის, ვით გლოვის ზარი,  
მაგრამ თუ ნალველს მოპბერს დაჩაგრულს,  
უკუპყრის კიდეც ვით ლრუბელს ქარი.

ი ლ ი ა

... შორიდან სიმღერა მოისმა. ეს სიმღე-  
რა ურმული იყო.

—ის არის, ის...—წამოიძახა არჩილმა. ამ  
წამოძახილში დიდი კმაყოფილება იგრძნო-  
ბოდა, თითქმის აღტაცება.

მივხვდი, ვისაც გულისხმობდა ჩემი მეგო-  
ბარი, მაგრამ უნებურად შევეკითხე, ვინ ის-  
მეთქი.

—ვინ უნდა იყოს?.. სესიკაშვილია!—მიპა-  
სუხა არჩილმა იმავე კილოთი.—რა ბედზე

შემოგვილამდა აქ. რა კონცერტს მოფისშენთ...  
მერე, არავინა ჩანს მოსეირნეთაგანი, თორემ  
უმალვე გაჩუმდება, ვინიცობაა შეამჩნია, ყურს  
მიგდებს ვინმეო, — ამბობდა არჩილი სიამოვ-  
ნების ლიმილით, თანაც რალაც მღელვარე-  
ბა ეტყობოდა, თითქო სააბური რამის მო-  
ლოდინშიაო.

— ბულბულის თვისება ჰქონია მაგ შენს  
მომღერალს, — ვუთხარი სიცილით არჩილს. —  
ისიც ხომ მაშინვე ინაბება, თუ სულიერი  
რამ იგრძნო ახლო. არა ჰგვანებია ბაგრა-  
ტის... დღისით-მზისით შუაბაზარში ურემს  
რომ ჩაატარებს ხოლმე, — ზარიფით არაკრა-  
კებს ურმულს. ისიც ძალიან კარგად მღე-  
რის...

— საქმეც ეგ არის, რომ თვით ჩაგრატამ  
იცის, კარგად ვმღერი, სიამოვნებით მიგდე-  
ბენ ყურს და რატომ არ ვიმღერო. ბაგრა-  
ტი მსმენელისათვის მღერის, სესიკაშვილი  
კი — თავისთვის. ეს მისი საკუთარი ზრახვების  
გამოთქმაა. ურმული ხომ ფიქრის სიმღერაა.   
მხოლოდ ურემხე შეიძლებოდა დაბადებული-  
ყო ეს საკვირველი ჰანგი. რამდენი შესანიშ-

ზავი, ლამაზი სიმღერა შეუქმნია ჩვენს  
ხალხს!... ყველა ეს სიმღერა ამა თუ იმ მდგო-  
მარეობისა და ვითარების ამსახველია—შრო-  
მა იქნება იგი, ბრძოლა, ზეიმი თუ სხვა  
რამ... ყველგან ესა თუ ის მოძრაობა, მოქმე-  
დება მოჩანს. ურმული კი, ვიმეორებ, ფიქ-  
რის სიმღერაა, მთელი ხალხის ფიქრის სიმ-  
ღერა. განა სად და რა ვითარებაში შეეძლო  
ჩვენს ხალხს, ჩვენს გლეხს ფიქრს მისცემო-  
და, თუ არა ურმის კოფოზე... აქ ყველაფე-  
რი ხელს უწყობდა საამისოდ. მეტწილ უმო-  
ძრაოდ ყოფნა, მძიმე ბრუნვა ურმის თვლე-  
ბისა; თანაც ჭრიალით, რომელსაც სმე-  
ნას აჩვევ და ყურადღებას აღარ აქცევ მის  
გულგამაწვრილებელ ჭიი-ჭის... დარბაისლური  
ტატით და ფეხის ბაკა-ბუკით სვლა ხარ-კა-  
მეჩისა; სახრის თხლაშუნი და შოლტის  
ტყლაშუნი,—ერთი სიტყვით, ყოველივე ეს  
თითქო ბუნებრივი აკომპანემენტია ურმული-  
სა. ჰედაც მყუდროება მთვარიანი ღამისა...  
მოდი და ნუ მიეცემი ფიქრს... და იცი?.. ნამ-  
დვილი მეურმე იშვიათად თუ ამოიღებს ხმას  
დღისით. აი, მხოლოდ ბაგრატასთანა მეურმე

თუ ეტანება დღიურ სიცხადეს და მლერის თავმოწონებით, როგორც ესტრადაზე გამოსული პროფესიონალი მომღერალი. ამიტომ იგი ცდილობს ხმა გამოიჩინოს, შეალამაზოს თვით ჰანგი ბგერათა სხვადასხვა მიმოხვრით, რაც ხშირად სრულიადაც არ ეთვისება ამ მელოდიის ბუნებას და სხვა სიმღერების მონაბერია, მეტწილად ბაიათური ჩუქურთმებისა... ბაგრატა ქალაქმა გააფუჭა... მაგრამ ჩვენ ლაპარაკში გავერთენით და ურემი კი გვიახლოვდება. მოდი, აი ამ ხის ჩრდილში მივსხდეთ, თორემ მთვარე დაგვნათის და გამოგვაჩენს.

\* \* \*

ჩემი მეგობარი მართალი იყო: სააშქაროზე ვიდეჭით, კახეთის ერთი პატარა ქალაქის განაპირა და მაღლობ ადგილას, რომელიც ზაფხულში სასეირნოდ იყო ამოჩემებული.

საკმაოდ ვრცელი ტაფობი სოფლებისაკენ მიმავალ, ვიწრო საურმე გზას გადაჰყურებდა.

გზა თითქმის გარშემო უვლიდა ამ მაღლობს. და ალმართ-ალმართ მოდიოდა.

ზაფხულის მთვარიანი ლამე იყო. მნათობის შუქს ცის ლაუგარდი განეკრთო და გაექათქათებინა. შორი-შორს გაფანტული ვარსკვლავები კდემამოსილებით ციმციმებდნენ, თითქოსხივოსან „ლამის გუშაგს“ ეჭრალებიანო. ირგვლივ არავინ ჩანდა. ცხოვრების ურიამული მიყუჩებულიყო.

სამყაროს სჩვევია ხოლმე ხანდახან იდუმალი მდუმარება, თითქო ბუნების ყველა ნასახს ერთი ყური გამობმოდეს, ერთი თვალი და გაერთიანებულის გრძნობით მთლად წაზიდულიყოს ერთი რამისაკენ, რაც მას ხიბლავს და ეუფლება.

არ ვიცი, ახლაც ასე ხდებოდა, თუ მარტო მე მეჩვენებოდა ასე... მაგრამ მთელი ის არემარე რომ სმენად იყო გადაჭცეული, ამას აშკარად ვგრძნობდი.

და ეს სმენა მეურმის ხმას დაეტყვევებინა. სესიკაშვილის ურმულს...

\* \* \*

ურმული ბევრჯერ მომესმინა; სოფლადაც, ესტრადაზედაც. განსაკუთრებით განთქმული იყო ვანო სარაჯიშვილის ურმული. რა კონკრეტიც უნდა ყოფილიყო ვანოს მონაწილეობით და რამდენიც უნდა ემღერა, საზოგადოება ბოლოს მაინც ურმულს მოსთხოვდა ხოლმე.

ვანო ჩინებულად მღეროდა ამ მელოდიას, უაკომპანიმენტოდ, რასაკვირველია. დიდ აღტაცებასაც იწვევდა. ჩემსასაც, რაღა თქმა უნდა. ერთი მხოლოდ არჩილი მეღგა კრიკაში, ის არ იზიარებდა საერთო აღტყინებას.

ტურთა ქალს რომ ფერუმარილი წასცხო, თუნდაც სულ ზომიერად, მის სილამაზეს თავისებურების იერს დაუკარგავსო—ამბობდა არჩილი.—ვანოს მღერაში ისეთი ნიუანსებია, რაც ურმულის მელოდიას თითქო ალამაზებს, მაგრამ ბუნებრივ სახეს უცვლისო. ურმული კი თავისთავად იმდენად სრულყოფილი და მრავალმეტყველი ჰანგია, რომ არავითარ შელამაზებას არ საჭიროებსო.

საერთოდ. არჩილი დიდი ენთუზიასტი იყო ხალხური შემოქმედებისა და მისი თავანკარიანობის ოდნავადაც შებღალვის ულმობელი მოწინააღმდეგე. ოც შეეხება ურმულს, იგი მხოლოდ სესიკაშვილს სთვლიდა: ამ ჰანგის ნამდვილ მესაიდუმლედ.—სესიკაშვილი კი არ მღერის, არამედ უსიტყვოდ მეტყველებსო.

რას ნიშნავდა ეს „უსიტყვოდ მეტყველებს“—ვერ გამეგო და ვერც იმას განემარტა.

სესიკაშვილის ურმული არ მომესმინა და, არ ვიცოდი, რა შეადგენდა მისი სიმღერის. მომხიბლავ ძალას. დღეს პირველად მეძლეოდა შემთხვევა, შემემოწმებინა, რამდენად მართალი იყო არჩილი.

სესიკაშვილი და ბაგრატა—ორივენი მეურმეები იყვნენ. საკუთარი ურმები ჰქონდათ. და ბაგრატას უღელი კამეჩი ჰყავდა, ხოლო სესიკაშვილს—ყევარი საქონელი. ტვირთზიდვას ეწეოდნენ. უმეტესწილ საშენი მასალა გადაჰქონ-გადმოჰქონდათ: ქვიშა, აგური, ხე-ტყე და სხვა, შედარებით პატარა მანძილზე.

ბაგრატი კალთეხა იყო და მხოლოდ დღი-სით მუშაობდა. ლამაზი მოხუცი იყო. რგვა-ლი ჭალირა წვერი უმშვენებდა ხორცისაგე წითურ სახეს. მუდამ მომლიმარი და მხია-რული, ლამაზად არაკრაკებდა თავის საკმაოდ შუახე, მაგრამ მოქნილ ხმის.

არჩილი მართალს ამბობდა: იმის მღერას, ცოტა არ იყოს, ბაითური კილო დაჭკრავდა. მაინც მშვენიერი იყო მისი ურმული ჩალაც უჩვეულო ხალისით სახეს.

სესიკაშვილი დღისითაც მუშაობდა და ხინ ლამითაც. არა ერთხელ მენახა იგრ დღი-სით ურმის კოფოზე მდუმარედ მჯდომარე, ქალაქში რომ ურემს გაატარებდა ხოლ-მე. ორმოც წლამდე იქნებოდა მიღწეული. ოდნავ შეკალარავებული საფეხულებთან. შავგვრემანი იყო, კარგად მოყვანილი ვაჟკა-ცი. სანდომიანი სახე ჰქონდა, თუმცა არა-მხიარული.

\* \* \*

ურემი ნელ-ნელა გვიახლოედებოდა. ალ-მართი იყო და თვლები მძიმედ ბრუნავდნენ.

თანაც ეტყობოდა, ურემი საკმაოდ იყო დატ-  
ვირთული.

ხის ჩრდილში ვისხედით სულგანაბულნი.  
ურემი კი სააშეაროზე იყო: მთვარე უხვად  
დაპირამდა.

სესიკაშვილი ჩვეულებრივი პოზით იჯდა  
კოფოზე. გეგონებოდათ, ფიქრშია წასულიო.  
არავითარი მოძრაობა; ხანდახან სახრეს თუ  
უქნევდა; ისიც არა დასარტყმელად, არა-  
მედ კამეჩების გასამხნევებლად. თანაც სიტ-  
ყვიერად დააყოლებდა ხოლმე — „ხიმამ, შე-  
დალონებულო“.

ალბათ, ჩვეულებად ჰქონდა ამ სიტყვების  
თქმა მღერის მეწყვეტის დასტალულად კუ-  
პლეტსა და კუპლეტს შუა.

არც გარეგანი აღტყინება და სასიმღეროდ  
აკლმოლერება, ბაგრატიას რომ სჩეკოდა; არც  
თავჩაქინდვრა და მწუხარება. ყველაფერი ეს  
მის ხმაში მეტყველებდა დიდის გზნებით.

მეურმის ხშა თავისუფლად აპობდა გამჭვირ-  
ვალუ ჰაერს, რაღგანაც ირგვლივ მყუდრო-  
ება იყო გამეფებული და გზად მას არავი-  
თარი სხვა ხმაურობა არ ელობებოდა.

ჰაერი თრთოდა, ირყეოდა ხმის ნავარდზე, ასეგონია, შიგ შუქი რამ შეიჭრა და აქაურობა მთლად ააბზინაო. და თუ ეს თვალისთვის არა ჩანდა, თითქო იმიტომ, რომ ღალოცვილ მთვარეს ქვეყნად სხივების ღიღი ნართი დაერთვა და ციდან გადმოფენილ პრწყინვალე ქსელში მგზნებარე შუქად შენივთებული ხმა მეურმისა შეუმჩნევლად იშლებოდა. სამაგიეროდ, ხმის შუქმთენარობა ალღოთი იგრძნობოდა.

\* \* \*

მეურმე მჭახედ როდი მღეროდა. ურმულს სიმჭახე, სიმძლავრე არ უხდება. ურმული ნიავივით სათუთი ჰანგია; ჰატარა, მაგრამ მრავალგრეხილოვანი. ჰანგის სხვადასხვა ფარდა ზესკნელ-ქვესკნელსა ჰგავს და ამ ორ კიდეთა შორის ბევრი მიხვეულ-მოხვეულისაფეხურია, რომლებზედაც ხმა გველურის კლაკვნით აღის და ჩამოდის.

წინათ მეგონა, ურმულს მხოლოდ ლირიკული ტენორი თუ დასძლევდა, იმდენად სა-

თუთ მელოდიად მეჩვენებოდა იგი. მაგრამ ამ-  
რიგობაზე ეს ჩემი აზრი უნდა შემეცვალა.

საქმე ის იყო, რომ სესიკაშვილის ხმას ნამ-  
დვილი დრამატული ტენორის ტემპი  
ჰქონდა. მაგრამ აյ ბუნებას თითქო სასწა-  
ული მოეხდინა. ისეთი ვაჟკაცური ლირიზმით  
განემსჭვალა იგი, რომ თვით უნაზეს ბგერა-  
საც კი სრულის ზედმიწევნილობით გადმოგ-  
ცემდათ.

და რა შეედრება დრამატულ ტენორს,  
როდვსაც იგი მარაოსავით ხმის გაშლით  
უმაღლეს მწვერვალებამდე უჭირვებლად ადის,  
და ამავე დროს მასვე მომადლებული აქვს  
ვიოლონჩელოსავით მგზნებარე ხმამიბნედი-  
ლობის უნარი...

რასაკვირველია, იშვიათია ასეთ ერთიმე-  
ორის საწინააღმდეგო მოვლენათა თანამთხვე-  
ვა ერთ ადამიანში, მაგრამ ბუნებამ იცის  
ხანდახან თავისმოგიუიანება და თავისი უხვი  
კალთის ერთ ადამიანზე დაბერტყვა.

სესიკაშვილი სწორედ რჩეული შვილი იყო  
ბუნებისა. და ცხოვრების უკულმართობაც  
სწორედ ის იყო, რომ ასეთი დიდი მადლით

მოსილი, თვით განგებისაგან ადამიანთა სულიერად ალძვრისა და დატკბობისათვის მოწოდებული, იგი ეკრძალებოდა მათ, მუნჯდებოდა მათ წინაშე, რადგანაც არ იცოდა, რა თილისმა ედვა ყანყრატოში, რა გრძნობა უძგირდა გულში...

სხივნართად გაშლილ დასაწყის „პარალოს“ რომ გაძაბავდა პაერში და ბოლოს ხმაშიბნედილად რომ დაუშვებდა ბგერათა ხლართს დაბლა ბილიკებით, ვეგონებოდათ, კაცი ტრიალ-ტრიალით ციდან ჯურლმულში ჩაეშვაო. და აქ ხმა ხვეულ-ხვეულად ჩატბორდებოდა ქვესკნელის ფსკერზე. აი, სწორედ ამ დაბალ ფარდებში იყო უალრესად მეტყველი მისი ტემბრი ღრამატული ტენორისა, რაც ლირიკული ტენორისათვის მიუწვდომელი ოცნებაა.

\* \* \*

უსიტყვო სიმღერის ალწერა ძნელია.

სხეული მას არა აქვს და სიმკვრივე, ფერი და გემო. ვერ შეეხები, ვერ დაინახავ,

ვერც იგემებ. ისმენ მხოლოდ რაღაც კი-ლოიან ბგერებს, თილისმურად ერთმანეთ-თან შერწყმულს და ამავე ღროს განცვიფ-რებით გრძნობ, რომ შენს წინაშე სხეულიც არის და ფერიც. იგი თითქმ გეხება კიდეც, ვინაიდან გულში გწვდება, გალელვებს და თითქმის ფიზიკურადაც აღგძრავს.

უსიტყვო სიმღერა-მეთქი, იმიტომ, რომ ურმული სწორედ უსიტყვო სიმღერაა. ყოველ შემთხვევაში, სესიკაშვილი არავითარ სიტყვას არ ამბობდა, ჰარალო-ჰარი-ჰალოს გარდა.

სხვა მეურმე, თუ პროფესიონალი მომღერალი პირველი „ჰარალოს“ შემდეგ, ჩვეულებრივ, სიტყვებზე გადადის და ურმულის მელოდიას სხვადასხვა ლექსით გადმოგვცემს. ეს სიტყვები მეტწილ ან ცნობილი ხალხური ლექსია „აღზევანს წავალ მარილზე“, ან სხვა რამ შაირი, ვისაც რა მოეპრიანება.

ბაგრატა, მაგალითად, ვიღაც ლამაზ მცინარა გოგოზე მღეროდა. მისი შაირი აღარ მახსოვს. ესკია, რომ იგი, უწმაწური რომ

არა ვთქვა, საკმაოდ „სალერლელამშლელი“ იყო.

და არასოდეს არ შემხვედრია ისეთი სიტუაცია, რომლებიც თავისი შინაარსით ურმულის შესატყვისი ყოფილიყვნენ. სიტუაცია სულ სხვა გრძნობას მეტყველებდნენ, ჰანგი სულ სხვას.

ამრიგად, სიტყვა თუ ხშირად განმარტავს და აძლიერებს ჰანგის მუსიკალურ აზრს, არც ის არის იშვიათი, რომ იგი სრულიადაც არ ეკილოკავება მელოდიის ბუნებას.

ეს შეუსაბამობა განსაკუთრებით ურმულში მოჩანს.

წინათ ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. თვით ჰანგი ისე მხიბლავდა ხოლმე, რომ ჩემთვის თითქო სულერთი იყო, რა სიტყვებით იმღერებოდა იგი.

დღეს პირველად მენიშნა ეს შეუსაბამობა, სესიკაშვილს რომ ვუსმენდი.

ვიმეორებ, სესიკაშვილი არავითარ სიტყვას არ მიმართავდა ჰარალო-ჰარი-ჰარალოს გარდა,—ამ, ალბათ, წარმართობის დროიდან დარჩენილი რაღაც საკრამენტი ურ

სიტყვის თუ სახელწოდებისა — და აგრეთვე  
ერთი-ორი გახმოვანებული შორისდებულისა,  
როგორიცაა, მაგალითად, ჰამ, ჰამ, ო-ო-ო.

და, რადგანაც სიტყვები არ იყო და მხო-  
ლოდ ბგერები გაისმოდნენ, ისეთი შთაბეჭ-  
დილება იქმნებოდა, თითქო ეს ბგერები  
სიტყვებად გადაქცეულიყვნენ და მუსიკალუ-  
რი ფრაზის შინაარსს ისინი თარგმნიდნენ  
ადამიანთა ენაზე.

\* \* \*

ხშირად თუ არა, ერთხელ მაინც, ალბათ,  
შეგხვედრიათ ცხოვრებაში სევდით აღსავსე  
თვალები.

შეიძლება, ამ თვალების პატრონი გაჩუ-  
მებული იყოს, უმოძრაო, მაგრამ, სამაგი-  
ეროდ, მისი თვალები მაინც მეტყველებენ...  
მეტყველებენ სევდას...

ან, იქნება, იგი იცინოდეს კიდეც, მხიარუ-  
ლობდეს, კეკლუცობდეს... თვალები მაინც  
მეტყველებენ... მეტყველებენ იმავე სევდას...

სევდა ამ თვალებისათვის განუშორებელო  
შინაარსია, ბუნებრივი, მუდმივი...

მოხდება ხოლმე, ამ თვალების მეტყველე-  
ბა უცბად იერს იცვლის... მაგრამ, რომ  
დააკვირდეთ, ადვილად შეატყობთ, იცვალა  
მეტყველების იერი კი არა, არამედ—იერი-  
სევდისა...

აქამდე სევდა თუ თხლად იყო მოდებული-  
თვალებში, ახლა უფრო გახშირდა ლრუბე-  
ლივით, ჩატბორდა მდორე მორევივით და  
აქა-იქ სიღრმეში ცრემლმა იწყო ციალი.

თუ ერთი და ერთი ჩაუკვირდით ამ თვალე-  
ბის მეტყველებას, სამუდამოდ სამახსოვ-  
როდ დაგრჩებათ იგი, თავის დღეში არ და-  
გვიწყდებათ, როგორადაც რაიმე დიადი-  
აზრი, იდეა...

შესაძლებელი რომ იყოს — ხმას, ჰანგს ხორ-  
ცი შეასხათ და იგი ხედვისათვის საჩინარჲყოთ,  
მაშინ ურმული სწორედ იმ სევდით აღსავსე  
თვალებად განხორციელდებოდა. ხმაშეკიდე-  
ბულ ამოძახილში, თუ დაბლა დამდოვრებულ  
ფარდებში განუწყვეტელი სევდა გაისმოდა,  
ხან მშფოთავი, ცეცხლივით მწვავი, ხან მი-

ნელებული, მიბნედილი, ვით ბინდბუნდი  
მწუხარისა.

როგორც ის სევდით მონისლული თვალე-  
ბი არავის და არაფერს არ უჩიოდნენ, სწო-  
რედ ამისდაკვალად ურმულიც არავის ჰყვედ-  
რიდა, არავის ამხელდა.

ისე, ვით თვალებში, ურმულშიაც თანას-  
წორი ძლიერებით გამოითქმოდა რაღაც  
საბედისწერო კაეშანი, თითქ'ო ეს კაეშანი  
მხატვარი ყოფილიყოს და თავისი ხელით  
ეხატოს თავისივე სახება, ერთ შემთხვევა-  
ში—თვალების მეტყველებით, ხოლო მეორე,  
შემთხვევაში—პანგის აგზნებით.

\* \* \*

ჩემი მეგობარი მართალს ამბობდა: ურმუ-  
ლი ნამდვილად ფიქრის სიმღერაა.

და... სამხიარულო არ უნდა ყოფილიყვნენ  
ის ფიქრნი, რომელთაც ეს სიმღერა წარ-  
მოეშვათ.

არც განცენებული, ცივი ბრძნული მსჯე-  
ლობანი სიცოცხლის ამაოებაზე....

არც სიკვდილის გარღუვალობაზე წუხი-  
ლის მეტყველნი...

არც ტრფიალებისაგან დამწეარი ვულის  
ზრახვანი...

ძეელის-ძეელი იყვნენ ეს ფიქრი. უამრავ  
საუკუნეთა მიღმეულიდან მომდინარეობდნენ,  
მაგრამ ხავსმოუკიდებელნი დარჩენილიყვნენ,  
ვით უკვდავნი და მუდამ ახალნი, ისეთი  
ცხოველი გრძნობა ფეთქავდა მათში.

ეს იყო ფიქრი ცხოვრების უკულშართობა-  
ზე, მარადიულ ვარამზე, რაც ადამიანთა დი-  
დი უმრავლესობის ხეედრს შეადგენდა...

ეს იყო ფიქრი გაცუდებულ შრომაზე,  
რომლის ნაყოფიც სხვას მიჰქონდა ძალა-  
დობით...

ეს იყო ფიქრი ცოლ-შვილის შიშილზე,  
შიშვლობაზე, საერთოდ, მათ შრარე ბედ-  
ზე...

ეს იყო ტკბილი ოცნება ალალშართალ  
ცხოვრებაზე და მქენჯნავი ფიქრი ამის სა-  
წინააღმდეგო დუხშირ დღიურ სიცხადეზე...

ეს იყო ფიქრი ადამიანთა უთანასწორო-  
ბაზე, მაძღარის მიერ მშეერისათვის ლუქმის

წართმევაზე, ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგურაზე...

ეს იყო ფიქრი იმაზე, რასაც გულთამხილავი პოეტი გუთნისდედას ათქმევინებდა:

მე ჩემის ჭირის, ჩემის წუნილის,  
ჩემის კაცობის გულის დუღილის  
სიტყვანი გულში მებადებიან,  
მაგრამ გულშივე უზმოდ ჰკვდებიან.

გარნა, თაობათა იდუმალი მემკვიდრეობის ძალით, კვლავ ცოცხლდებოდნენ ეს სიტყვები უამრავ სევდიან ფიქრებად და გუბდებოდნენ გულში მქენჯნავ ბოლმად.

და დადგა ისეთი წამი, როდესაც ერთ მშვენიერ მთვარიან ლამეს ერთმა შემოქმედმა მეურმემ ველარ დაიტია ტვინში ეს სევდიანი ფიქრები, ხოლო გულში მქენჯნავი ბოლმა და წამოლვარა იგი იმ საკვირველ მელოდიად, რომელსაც ხალხმა ურმული შწოდა.

\* \* \*

ყურს ვუგდებდი უკვე სულ ახლო მოსული მეურმის სიმღერას და მისი მხიბლავი ძალით

ჩემში ალბრული ოცნება თითქო გონიერის  
თვალწინ მიშლიდა ცოცხალ სურათს ურ-  
მულის შექმნისას.

თითქმის ცხადლივ წარმოვიდგინე თვით  
ის მომენტიც კი, როდესაც პირველი შეძა-  
ხილი გაისმა.

სანუკვარ ალალმართალ ცხოვრებაზე ფიქ-  
რით აღტყინებულმა პირველყოფილმა მეურ-  
მემ უცაბედად თვალი შეავლო გაბადრულ  
მთვარეს და, მნათობის სიტურფით ტყვენ-  
ნილმა, შესძახა მას ის მაგიური „პარალო“,  
რაც, შეიძლება, მეურმის სულიერ სამყარო-  
ში ჩასახული იყო, როგორც საუკუნეთა წი-  
აღიდან გაღმოცემული სახელი რომელიმე  
წარმართული ღვთაებისა. და, ოცნების ექს-  
ტაზში მყოფმა, მთვარე სწორედ ამ ღვთაე-  
ბად წარმოიდგინა.

მნათობი ხომ ამ წამს ისეთი მშვენიერი,  
მოსხივცისკარე, წყნარი და უბიწო იყო, რომ  
მეურმე, შეიძლება, მასში ხედავდა თავისი  
ოცნების განსახიერებას და აგზნებული ლა-  
დადით მოუწოდებდა მას, მიენიჭებინა ადა-

მიანისათვის სანატრელი ალალმართალი  
ცხოვრება.

გატაცებით იმეორებდა იგი მრავალჯერ  
ამ გრძნეულ სიტყვას, ალბათ, უკვე მეტის  
გზნებით, და პირველში მოკლედ მოკვეთილი  
ბგერა თანდათან განივრცო, გაიშალა უფრო  
მეტი მელოდიურობით.

და თვითეულ ახალ-ახალ შეძახილზე იგი  
იმოსებოდა მეტი ხმოვანებით, იძენდა მეტ:  
მუსიკალურ ჟღერადობას.

მაგრამ აი, მთვარე ლრუბლებმა დაფარეს.  
ცის ლაჟვარდი ჩაშავდა. სამყარო სიბნელებ:  
მოიცვა.

გათავდა მეურმის ალტყინებაც. იგი ცი-  
დან ქვეყნად დაეშვა.

და კვლავ ალიძრნენ მწარე ფიქრები, მოაწ-  
ვნენ ტვინსა და გულს ზვირთებივით.

ხოლო ერთი და ერთი გალვიძებული შე-  
მოქმედება ვერ დაწყნარებულიყო. რაც უფ-  
რო მწვავენი იყვნენ ფიქრნი, მით უფრო  
ვერ ეტეოდნენ ტვინსა და გულში და გად-  
მონთხევას ლამობდნენ.

და პირველყოფილი მეურმეც კვლავ ახმაურ-  
ზა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაისმოდნენ ცალ-  
კეული ბგერები, ჯერ კნინნი. თითქო უსა-  
ზონი, ერთმანეთისაგან გათიშულნი, ოდნავ  
შეტყველნი.

ეს იყო ჯერ კიდევ მხოლოდ ნალვლიანი  
დუდუნი, უფრო ცალკეული შორისდებულე-  
ბებისაგან შემდგარი, ვიდრე გახმოვანებული  
ბგერებისაგან.

ხოლო მრავალგზის განმეორების პროცეს-  
ში შემოქმედების ძალა თანდათან აკოწიწებ-  
და მათ, თანდათან აგლუვებდა ბგერათა შერწ-  
ყმის უსწორმასწორო ნაწიბურებს, თითქო  
თარაზოში გამოჰყავდა ამ ბგერათა რკალი,  
ასე რომ, რაც დრო გადიოდა, რაღაც  
მთლიანი რამ იბადებოდა.

ბოლოს, როგორც იყო, გაისმა მეურმის  
სევდიანი ღულუნი, აქა-იქ საფეხურებიანი,  
რომლებზედაც ხმა თითქო შეწყობილად  
ადიოდა და ჩამოდიოდა.

მაინც ეს არ იყო დასრულებული ჰანგი...  
მას აკლდა სინათლე, მაღალი მისწრაფების  
იერი... იგი მოისმოდა თითქო ღრმა დილე-  
კიდან, ვით ოხვრა-გმინვის ანარეკლი.

მაგრამ აი, კვლავ გამოანათა მთვარემ..  
გაფანტა რა ლრუბლები.

და ანაზღეულად გაისმა მეურმის პირვან-  
დელი „ჰარალო“.

და თითქო აქ ხელოვანმა იგრძნო, რომ  
სწორედ ეს აკლდა მის ლულუნს,—ინტუ-  
იციურად გადააბა ერთი-მეორეს „ჰარალო“  
და „ლულუნი“ და მათ ერთმანეთი შეავსეს...  
„ლულუნმა“ შეიძინა სისათუთე და გამჭვირ-  
ვალება, ხოლო „ჰარალომ“—სევდიანობის  
იერი.

შაინც ეს იყო მხოლოდ ჩანასახი ჰანგი-  
ყველა იმ შემაღენელი ნაწილით, რაც ახა-  
სიათებს ერთ მთლიან სიცოცხლეუნარიან-  
ნაყოფს, რომელიც ზრდის პროცესში აიღსე-  
ბა სისხლით და ხორცით, გაიფურჩქნება,  
ვით კოკორი, ფერით და სურნელებით მდი-  
დარ ყვავილად.

\* \* \*

გონების თვალწინ ვიდოდნენ თითქო საუ-  
კუნენი, რომელთა განმავლობაშიც იზრდე-

პოდა ეს ნაყოფი, თანდათან იხვეწებოდა, იცლიდა თავისი სხეულიდან ყოველსავე იმას, რაც დროთა სვლაში ყალბად მიეტმას-ნებინათ მისთვის და რაც უცხო იყო და აუგი მისი ბუნებისათვის. სამაგიეროდ, ით-ვისებდა იმას, რაც მის ბუნებას ესისხლხორ-ცებოდა და აცისკროვნებდა.

და აი ახლა, გავსილი, გაშლილი, სრულ-ყოფილი, მგზნებარედ მეტყველი, მოჰქონდა იგი სესიკაშვილის გრძნეულ ხმას ლივლივა ნაკადად, ვით საუკუნეთა მანძილზე ქართვე-ლი ხალხის გულში დაგუბებული ფიქრი და გრძნობა, ვით მისი გაუნელებელი სევდა, მაგრამ თანაც, ვით გულის გამაქარვებელი მელოდია.

და, როგორც შეშვენის ჭეშმარიტი შემოქ-მედების მხატვრულ გამოვლინებას, იგი თა-ვის თანაზიარად ხდიდა მთელ მეტყველ და უტყვ სამყაროს.

1941 წ. მაისი.

23.

1. ლ ე კ უ რ ი . . . . .	3
2. კ ა ხ უ რ ი მ რ ა ვ ა ლ ე ა მ რ ე რ ი . . . . .	41
3. უ რ მ უ ლ ი . . . . .	55

რედაქტორი: გ ე რ ი ნ ტ ი ქ ი ქ ი ძ ე .  
კორექტორი: თ. მ ა მ ფ ი რ ი ა

მაქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თან არსებული პოლიგრა-  
ფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს  
№ 2 სტამბა. ფურცელაძის ქ. 5.

ეუ02632.

ტირ. 5000.

შეკვ. № 825.

3060 8 856. 50 853.

Илья Зурабишвили

ТВОРЧЕСКИЙ ГЕНИЙ НАРОДА

(На грузинском языке)

Издательство „Хеловиеба“

Тбилиси 1949 г.